პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 6 ივნისი, 1950 წ. № 118 (8678). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

უფრო სრულად გამოვიყენოთ სოციალისტური ინდუსტრიის რეზერვები — „პრავდის" 6/VI მოწინავე (1-ლი გვერდი).
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი).
ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი მისალმებათა ნაკადი (მე-2 გვერდი).
ა. მგელაძე—პარტიული აქტივის გულდასმით და გეგმიანად სწავლებისათვის (მე-2 გვერდი).
რატომ ითმენენ დამახინჯებებს? (მე-3 გვერდი).
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის აღსანიშნავად (მე-3 გვერდი).
სოხუმის თეატრის ორი სპექტაკლი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

უფრო სრულად გამოვიყენოთ სოციალისტური ინდუსტრიის რეზერვები

ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობა ვითარდება გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის კანონის მიხედვით. მეურნეობის საბჭოთა სისტემა უზრუნველყოფს მრეწველობის ძირითად საშუალებათა განუწყვეტელ ზრდას. მარტო ომისშემდგომი ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში აშენებული, აღდგენილი და ამუშავებულია 5.200 სახელმწიფო სამრეწველო საწარმო, წვრილი სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოების ჩაუთვლელად. ისტორიამ ჯერ არ იცის წარმოების ზრდის ისეთი ტემპები, როგორიც ჩვენს ქვეყანაშია მიღწეული.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის წინამძღოლობით საბჭოთა ხალხი წარმატებით წყვეტს კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს. წლითიწლობით იზრდება წარმოების ძირითადი საშუალებანი. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში განუწყვეტლივ ინერგება ახალი ტექნიკა, ხდება ყველაზე სრულყოფილი მოწყობილობის ათვისება, უფრო ფართოდ ჩაღდება მძიმე და შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია. მარტო შარშან ჩვენში შეიქმნა სამასზე მეტი უმნიშვნელოვანესი ახალი კონსტრუქციის მაღალნაყოფიერი მანქანები და მექანიზმები, რომელთა სერიული წარმოება დაიწყო.

მეურნეობის სოციალისტური სისტემა ყველა პირობას ქმნის წარმოების საშუალებებისა და იარაღების ყველაზე სრული გამოყენებისათვის. ჩვენში არ არის და არც შეიძლება იყოს წარმოების ანარქია, კონკურენცია, კრიზისები, უმუშევრობა, საწარმოთა ქრონიკული დაუტვირთაობა და სხვა წყლული და მანკი, რაც ორგანულად სჭირს კაპიტალისტურ წყობილებას. მეურნეობის გეგმიანი წარმოება საშუალებას იძლევა რაც შეიძლება ინტენსიურად გამოვიყენოთ საწარმოო სიმძლავრეები.

ჩვენს ქვეყანაში ადამიანები მუშაობენ არა ექსპლოატატორებისათვის, არამედ თავისათვის, თავისი საზოგადოებისათვის. და ეს მათ აღაფრთოვანებს შრომითი საგმირო საქმეებისათვის, ფართო შესაძლებლობას უქმნის ინიციატივისა და შემოქმედების გამოვლინებისათვის, ტექნიკის უკეთ გამოყენებისათვის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ზრდისათვის ბრძოლაში.

„იმის შეგნება,—ამბობდა ამხანაგი სტალინი 1927 წელს ამერიკის მუშათა პირველ დელეგაციასთან საუბარში,—რომ მუშები მუშაობენ არა კაპიტალისტებისათვის, არამედ თავისი საკუთარი სახელმწიფოსათვის, თავისი საკუთარი კლასისათვის,—ეს შეგნება წარმოადგენს უდიდეს მამოძრავებელ ძალას ჩვენი მრეწველობის განვითარებისა და გაუმჯობესების საქმეში".

შარშან მოსკოვის მოწინავე საწარმოთა კოლექტივები, მაღალი პატრიოტული გრძნობებით აღფრთოვანებულნი, გამოვიდნენ წარმოების ძირითად საშუალებათა უკეთ გამოყენებისათვის შეჯიბრების ინიციატორებად. ამხანაგ სტალინისადმი გაგზავნილ წერილში ისინი წერდნენ, რომ ჩვენი საწარმოების ძირითადი საშუალებანი ჯერ კიდევ მთლიანად არ არის გამოყენებული და რომ აქ დიდი რეზერვებია პროდუქციის გამოშვების შემდგომი ზრდისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის.

მოსკოველთა თაოსნობას გამოეხმაურნენ მრეწველობის ყველა დარგის საწარმოები. შეჯიბრების მსვლელობაში ზუსტად ჩამოყალიბდა წარმოების ძირითად საშუალებათა უკეთ გამოყენებისათვის ბრძოლის კონკრეტული გზები. უფრო ფართოდ გაიშალა მასების შემოქმედებითი ინიციატივა. ცხადი გახდა, რომ მოწყობილობის უფრო რაციონალურად დაგეგმვა ათავისუფლებს მნიშვნელოვან ფართობს დამატებითი დაზგებისა და მანქანების დასადგმელად. წარმოიშვა ტექნიკის უფრო ინტენსიურად გამოყენების ახალი მეთოდები. შემოქმედებითმა ინიციატივამ წამოაყენა მანქანების, მოწყობილობისა და ნაგებობათა სამსახურის ვადის გაგრძელებისათვის ბრძოლის ახალი ფორმები.

წარმოების ძირითად საშუალებათა უკეთ გამოყენებისათვის შეჯიბრებას სახალხო მეურნეობისათვის უდიდესი სარგებლობა მოაქვს. შარშან სახელმწიფო გეგმით დადგენილი მოწყობილობის გამოყენების საშუალო პროგრესული ნორმები მრეწველობის ბევრმა დარგმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა.

მაგალითად, მოწინავე მანქანათმშენებელმა საწარმოებმა განახორციელეს მოწყობილობის უფრო რაციონალური დაგეგმვა, შეამცირეს ფართობი თვითეული დაზგისა თუ მანქანისათვის, გამოიყვანეს ძირითადი საამქროებიდან დამხმარე სამსახური. ამის შედეგად განთავისუფლდა მნიშვნელოვანი საწარმოო ფართობი, რომელზეც დამატებითი მანქანები დაიდგა. ყოველივე ამან გაზარდა პროდუქციის გამოშვება. მაგალითად, მოსკოვის ქარხანა „კომპრესორმა" შარშან თვითეულ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე პროდუქციის გამოშვება ერთნახევარჯერ და უფრო მეტად გაზარდა.

მუშების შემოქმედებითი ინიციატივა ახალ-ახალ რეზერვებს ავლენს, გვეხმარება უკეთ გამოვიყენოთ ჩვენი საწარმოების უმდიდრესი ტექნიკა. ამას წინათ ურალის ვაგონმშენებელ ქარხანაში მოეწყო წარმოების ძირითად საშუალებათა გამოყენების საზოგადოებრივი დათვალიერება. დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს ათასობით სტახანოველმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა, მათ შეიტანეს ბევრი ძვირფასი წინადადება, რომლებმაც მნიშვნელოვნად გაადიდეს მოწყობილობის ერთეულიდან პროდუქციის მიღება.

მაგრამ მანქანათმშენებელ საწარმოებში ჯერ კიდევ ბევრია მოწყობილობის სიმძლავრეთა და საწარმოო ფართობის გამოუყენებელი რეზერვები. მათ გამოყენებას ხშირად ხელს უშლის იერიშობანა, საწარმოთა არაორგანიზებული მუშაობა. მაგალითად, ურალის მანქანათმშენებელ ქარხანაში ხშირად თვის პირველ და მეორე დეკადაში გეგმას ასრულებენ 15-25 პროცენტით, ხოლო მესამე დეკადის განმავლობაში სრულდება თვიური პროგრამის ძირითადი ნაწილი.

უდიდესი რეზერვები მოეპოვებათ ქვანახშირის მრეწველობის საწარმოებს. ჩვენმა ქვეყანამ სახალხო მეურნეობის ეს დიდმნიშვნელოვანი დარგი სრულყოფილი ტექნიკით აღჭურვა. მაგრამ ხშირად ყოველგვარი ორგანიზაციული მოუწესრიგებლობის გამო სამთო მანქანები არ იძლევიან ყოველივე იმას, რის მოცემაც შეუძლიათ.

მოწინავე საბჭოთა მეშახტეები ცდილობენ რაც შეიძლება უკეთ გამოიყენონ შახტების ძირითადი საშუალებანი. კომბინატების „მოსკვოუგოლის" და „ტულაუგოლის" მაღაროელებმა ამას წინათ ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილებში იკისრეს მნიშვნელოვნად გაედიდებინათ მიმდინარე წელს საყელავი მანქანების ნაყოფიერება და ამ საფუძველზე გაეზარდათ შრომის ნაყოფიერება, ვადამდე შეესრულებინათ ქვანახშირის ამოღების გეგმა.

შარშან საბჭოთა ნავთის მუშაკებმა გაადიდეს საექსპლოატაციო ბურღვის სისწრაფე, მცირე წარმატებები როდი მოიპოვეს საბურღავი მოწყობილობის გამოყენებაში. ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილებში ბაშკირეთის ასსრ და აზერბაიჯანის ნავთის მუშაკებმა იკისრეს მიმდინარე წელს გადააჭარბონ საექსპლოატაციო ბურღვის შარშანდელ სიჩქარეს, უფრო ნაყოფიერად გამოიყენონ ნავთის მრეწველობის ტექნიკა.

ახალ საწარმოო წარმატებებს აღწევენ საბჭოთა მეტალურგები. შარშან ბრძმედების მოცულობის გამოყენებამ 18 პროცენტით გადააჭარბა ომამდელ დონეს, ფოლადის მიღება მარტენის ღუმელის ერთ კვადრატულ მეტრზე 24 პროცენტით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ მეტალურგიულ ქარხანაში — „აზოვსტალში", „ზაპოროჟსტალში" და სხვებში — ბრძმედებსა და სხვა აგრეგატებს არადამაკმაყოფილებლად იყენებენ. სამხრეთისა და ცენტრის მეტალურგებმა ამას წინათ შემდგარ თათბირზე გააკრიტიკეს ჩამორჩენილ საწარმოთა ხელმძღვანელები და მიიღეს ახალი ტექნიკურ-ეკონომიური ნორმები, რომელთა ათვისება შესაძლებელს გახდის უკეთ იქნას გამოყენებული მეტალურგიული საწარმოების ძირითადი საშუალებანი.

წარმოების ძირითად საშუალებათა უკეთ გამოყენებისათვის ბრძოლა მოკლევადიანი კამპანია როდია. პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციები მუდამ უნდა ზრუნავდნენ, რომ რაც შეიძლება ნაყოფიერად გამოიყენონ სამრეწველო საწარმოთა საწარმოო ფართობები და მოწყობილობა. ამ საქმეში დიდმნიშვნელოვანი როლი შეუძლია შეასრულოს და უნდა შეასრულოს ჩვენმა პრესამ, რომელიც მოწოდებულია პროპაგანდა გაუწიოს შეჯიბრების მოწინავეთა გამოცდილებას და გაშალოს ბოლშევიკური კრიტიკა და თვითკრიტიკა.

საჭიროა ყოველმხრივ დავუჭიროთ მხარი მასების შემოქმედებით ინიციატივას საწარმოო გეგმების ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრებაში, მხარი დავუჭიროთ ყოველივე ახალს, მოწინავეს, პროგრესულს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შრომის სტახანოვური მეთოდების გავრცელებას, წარმოების ნოვატორთა გამოგონებებისა და წინადადებების პროპაგანდასა და წარმოებაში დანერგვას.

მრეწველობის ყველა დარგში ტექნიკის უნარიანი, რაც შეიძლება ნაყოფიერი გამოყენება ხელს შეუწყობს სახალხო მეურნეობის შემდგომ აღმავლობას, კომუნისტური მშენებლობის ტემპების დაჩქარებას.

„პრავდის" 6/VI მოწინავე

ს ა ბ ჭ ო თ ა კ ა ვ შ ი რ შ ი

ვ. ი. ლენინის ძეგლი ქარხანაში

სარანსკი, 3 ივნისი. (საკდესი). სარანსკის მექანიკური ქარხნის ტერიტორიაზე დაიდგა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლი. ძეგლის გარშემო დიდი სკვერი გააშენეს.

დედების მადლობა

დედაქალაქის სოკოლნიკის პარკის მწვანე მასივებში ქათქათებენ საკავშირო პროფსაბჭოს ფეხმძიმე ქალთა სანატორიუმის თეთრი კორპუსები. აქ პროფკავშირული ორგანიზაციების საგზურებით ისვენებს ასობით ქალი, რომელთაც სადეკრეტო შვებულება ჰქონიათ.

ასეთი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებანი კაპიტალისტურ ქვეყნებში არ არის და არც შეიძლება იყოს. საბჭოთა კავშირში ასეთი სანატორიუმებია ლენინგრადში, ტაშკენტში, დონის როსტოვში, ყაზანსა და ბევრ სხვა ქალაქში.

სანატორიუმში დამსვენებლებს აქვთ მუდმივი სამედიცინო მომსახურება და დიეტური კვება. სანატორიუმში არის ფიზიოთერაპიისა და სამკურნალო ფიზკულტურის კაბინეტები. დამსვენებლებისათვის ეწყობა კინოსეანსები და ლიტერატურულ-მხატვრული საღამოები, კითხულობენ ლექციებს ახალდაბადებულთა მოვლის შესახებ. სპეციალური ინსტრუქტორი ასწავლის ქალებს ბავშვის მზითვის კერვას.

სანატორიუმში ყოფნა კარგად მოქმედებს მომავალი დედებისა და მათი ბავშვების ჯანმრთელობაზე. შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერილია დამსვენებელთა მრავალი მადლობა.

— გულითადი მადლობა ყოველივე იმისათვის, რაც აქ მივიღეთ და რაც არც ერთ მშრომელ ქალს არა ჰქონია მეფის დროს და რაზეც ვერ იოცნებებენ უბრალო ქალები კაპიტალისტურ ქვეყნებში, — წერენ მუშა ქალები ქუკოვა, კნიაზევა, სტრახოვა, გარჩენკო.

ასეთი ჩანაწერი ასობითაა.

წელს დიდდება სანატორიუმის გამტარუნარიანობა. იქ ათასზე მეტი ქალი დაისვენებს. (საკდესი).

ზრუნვა ბავშვთა განათლებისათვის

მოსწავლეთა რაოდენობით საბჭოთა კავშირს მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. ჩვენი ქვეყნის დაწყებით და საშუალო სკოლებში სწავლობს 34 მილიონი ბავშვი, რაც ოთხჯერ და მეტად აღემატება იმ ბავშვთა რაოდენობას, რომლებიც რევოლუციამდელ რუსეთში სწავლობდნენ.

საბჭოთა მთავრობა, პარტია, პირადად ამხანაგი ი. ბ. სტალინი ყოველდღიურად ზრუნავენ მოზარდი ახალგაზრდა თაობის აღზრდისა და განათლებისათვის. სახალხო განათლებაზე ყოველწლიურად უდიდესი თანხები იხარჯება. 1949 წელს სახალხო განათლებაზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტით დაიხარჯა 60.800 მილიონი მანეთი.

საბჭოთა კავშირში 200 ათასზე მეტი სკოლაა. ამ სკოლებში ბავშვებს ასწავლის და ზრდის 1.250 ათასი მასწავლებელი. მათი კეთილშობილური შრომა დიდად დააფასა სახელმწიფომ. 98.850 მასწავლებელი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

377 პედაგოგიურ და სამასწავლებლო ინსტიტუტში და 770 პედაგოგიურ სასწავლებელში ნახევარ მილიონამდე მომავალი პედაგოგი სწავლობს. წელს სრულდება 20 წელი მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების კანონი. ახლა შემოღებულია სავალდებულო შვიდი წლის სწავლება. ჩვენი სამშობლო წერა-კითხვის მთლიანი მცოდნეობის ქვეყანა გახდა.

წარმატებით ვითარდება სახალხო განათლება. საბჭოთა ხელისუფლების წლებში თურქმენეთში მოსწავლეთა რაოდენობა გადიდდა 30-ჯერ, უზბეკეთში 65-ჯერ და ყაზახეთში 72-ჯერ. 40 ეროვნებისათვის შექმნილია ახალი დამწერლობა. სწავლება საბჭოთა სკოლებში წარმოებს საბჭოთა კავშირის ხალხთა 100-ზე მეტ ენაზე. (საკდესი).

უკრაინის სსრ. კიევი. ქალაქის რეკონსტრუირებული და გამწვანებული ცენტრალური მაგისტრალი — კრეშჩატიკი.

ფოტო გ. უგრინოვიჩისა (საკდესის ფოტოქრონიკა)

მოსკოვის ოლქის სოფლის კორესპონდენტთა შეკრება

31 მაისს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა მოსკოვის ოლქის სოფლის კორესპონდენტთა საოლქო შეკრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 1.600-მდე კაცმა.

პრეზიდიუმში არიან საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივნები ამხანაგები ალექსეევი, მორსინი, ვოლკოვი, მოსკოვის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. აფანასიევი, დედაქალაქის გაზეთების წარმომადგენლები, ოლქის ხელმძღვანელი მუშაკები.

კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში სოფლის კორესპონდენტთა როლის გაძლიერების შესახებ მოხსენება გააკეთა საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. გორჩაკოვმა.

მომხსენებელმა თქვა, რომ ოლქის ყველა ქალაქსა და რაიონს საკუთარი გაზეთი აქვს. თითქმის ყველა კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, დაწესებულებაში კედლის გაზეთი გამოდის.

საოლქო და რაიონული პრესა და კედლის გაზეთები მნიშვნელოვნად განმტკიცდნენ. პრესა ახლა მეტ ყურადღებას აქცევს სოფლის მეურნეობის საკითხებს. მის ფურცლებზე უფრო ხშირად ვხვდებით მასალებს კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობის შესახებ. თავიანთ ამოცანებს ყველაზე წარმატებით ართმევენ თავს ის გაზეთები, რომლებსაც მტკიცე კავშირი აქვთ ავტორთა აქტივთან, მუშა და სოფლის კორესპონდენტებთან, საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანებთან.

პარტია გვასწავლის, აღნიშნავს მომხსენებელი, რომ გაზეთის ძალას წარმოადგენს მისი კავშირი მასებთან, მისი უნარი შემოიკრიბოს კორესპონდენტთა ფართო აქტივი. დასასრულ ამხ. გორჩაკოვი შეეხო სოფლის კორესპონდენტთა მორიგ ამოცანებს.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 18 კაცმა.

შეკრების მონაწილეთ — დედაქალაქის ოლქის სოფლკორებს „პრავდის" რედკოლეგიისა და რედაქციის მთელი კოლექტივის სახელით მიესალმა ამხ. ზასლავსკი.

საღამოს სხდომის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის კომიტეტის მდივანმა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

შეკრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს მისალმება ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი. (საკდესი).

მ. ი. კალინინის ხსოვნისათვის

გაიხსნა მემორიალური დაფა იმ შენობაზე, სადაც იყო მ. ი. კალინინის მისაღები ოთახი

3 ივნისს, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწის მიხეილ ივანეს-ძე კალინინის გარდაცვალების მეოთხე წლისთავის დღეს, მოსკოვში, მოხოვაიას ქუჩისა და კალინინის ქუჩის კუთხეში, იმ შენობაზე, სადაც იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მისაღები ოთახი, რომელშიც მიხეილ ივანეს-ძესთან მრავალი წლის მანძილზე მიდიოდნენ მშრომელები რჩევა-დარიგებებისათვის, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მემორიალური დაფა.

მემორიალურ დაფაზე გამოყვანილია დაუვიწყარი მიხეილ ივანეს-ძის ბარელიეფი და წარწერა:

„ამ სახლში იყო მ. ი. კალინინის მისაღები ოთახი 1919-1946". (საკდესი).

სტუდენტთა საზაფხულო არდადეგები

ივნისი სასწავლო წლის უკანასკნელი თვეა ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში. ახლა გაჩაღებულია სტუდენტთა მზადება საზაფხულო არდადეგებისათვის. ეწყობა ტურისტთა მოგზაურობა და ლაშქრობა — ქვეითად, ნავით, ველოსიპედით. მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ტაშკენტსა და ლვოვში სტუდენტები შეხვდებიან მეცნიერებს, მწერლებს, ხელოვნებას მუშაკებს, წარჩინებულ სტახანოველებს. მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის, მოლოტოვის სახელობის ენერგეტიკის ინსტიტუტის, ლენინგრადის ჟდანოვის სახელობის უნივერსიტეტისა და მთელი რიგი სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები მიემგზავრებიან საშეფო რაიონებში, რათა დაეხმარონ კოლმეურნეობებს სოფლის ჰიდროელექტროსადგურთა მშენებლობასა და რადიოფიკაციაში.

მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო დათვალიერების დაწყებასთან დაკავშირებით, სტუდენტთა თვითმოქმედი კოლექტივები ზაფხულში მოამზადებენ ახალ სპექტაკლებს და მომღერალთა გუნდების გამოსვლებს. ლენინგრადის სტუდენტები გაემგზავრებიან ლატვიის სიმღერის დღესასწაულზე, უკრაინის დასავლეთი ოლქებისა და ბალტიისპირეთის უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტები მოსკოვს ეწვევიან.

სტუდენტებს საზაფხულოდ ეძლევათ სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და ალპინისტთა ბანაკების საგზურები. სულ ცოტა ათასი კაცი საზაფხულო არდადეგებს გაატარებს კავკასიის ალპინისტურ ბანაკებში „ალიბეგსა" და „ნაკრაში". ზაფხულში მოეწყობა მეოთხე საკავშირო სპარტაკიადა მძლეოსნობაში, ცურვაში, ტანვარჯიშში, კალათბურთში, ფრენბურთსა და ფარიკაობაში. გარდა ამისა მოეწყობა სტუდენტთა საკავშირო შეჯიბრება ველოსიპედით სვლაში და ჩოგბურთში, ხოლო ზონალური — ჭადრაკში.

ქალაქების დაუსწრებელი მატჩი მძლეოსნობაში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა გადაწყვიტა მოაწყოს ზაფხულში ქალაქთა მეორე დაუსწრებელი მატჩი მძლეოსნობაში. ეს ამ სეზონის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი სასპორტო შეჯიბრება იქნება.

შეჯიბრება ორ ტურად მოეწყობა. პირველი გაიმართება 17-18 ივნისს, მეორე — 16-17 სექტემბერს. მამაკაცთა და ჭაბუკთა დაუსწრებელი მატჩის პროგრამაშია: რბენა 100, 200, 800 და 5.000 მეტრზე, სიმაღლეზე ხტომა გარბენით და ბირთვის კვრა; ქალთა და ქალიშვილთათვის: რბენა 100 და 400 მეტრზე, სიმაღლეზე ხტომა გარბენით, ბადროს ტყორცნა და ბირთვის კვრა.

მატჩის მონაწილე ყველა ქალაქი ხუთ ჯგუფად იყოფა. შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია სპორტსმენთა განუსაზღვრელ რაოდენობას. (საკდესი).

ახალი წიგნები

გამომცემლობა „ახალგაზრდა გვარდიამ" გამოუშვა ი. გ. მიჩურინის წიგნი „რჩეული". კრებულში მოთავსებულია მოკლე ნარკვევი ბუნების დიდი გარდამქმნელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ და მისი სტატიები.

გამოვიდა ვ. საფონოვის წიგნი „კოვერლას ზარი". ავტორი მოგვითხრობს, თუ რა დიდი ცვლილება მოხდა იმიერკარპატის ახალგაზრდა საბჭოთა ოლქის ცხოვრებაში.

გამოშვებულია ნ. შპანოვის რომან „ცეცხლწამკიდებლების" მეორე მასობრივი გამოცემა.

მხატვრული თვითმოქმედების წრეებისათვის განკუთვნილ წიგნებს შორის არის კრებულები „მშობლიურ საზღვართან", „კომკავშირული სიმღერა" და „ახალგაზრდული ესტრადა". (საკდესი).

სამგორის სახალხო მშენებლობაზე

ნ ო რ ი ო ს ხ ე ვ შ ი

ნორიოსხევს, ღრმასა და ფართოს, წანწკარა ღელეებითა და ნიაღვრებით დასერილს, ჯერ არასდროს მოსწრებია ასეთი ხანახაობა და არც ადამიანთა ასეთი სიმრავლე უნახავს გიორგი სააკაძის ლაშქრის მიერ ყიზილბაშთა ურდოს განადგურების შემდეგ.

ხევის მთელ სიგანეზე, კილომეტრამდე მანძილზე მრავალ ათას კოლმეურნეს ფრონტი გადაუჭიმავს. ყამირი გაურღვევია, ღრმა სადიუკერე მიწაყრილი ამოუღია, ხევის განდაგან ნაყარი მიწის მთა ალუმართავს.

ამ ხევის დახავლეთ უბანზე ჩირგვნარიანი დაფერებიდან ნორიოს მეორე ღელის სერამდე მუშაობენ ქარელის რაიონიდან ჩამოსული კოლმეურნეები.

— სამგორში სამუშაოდ წამოსვლა ჩვენი რაიონის მშრომელებს სახელისა და ღირსების საქმედ მიაჩნიათ, — აღნიშნავს ქარელის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვარდენ წიკლაური. ამიტომ იყო, რომ რაიონის კოლმეურნეობებში სამგორში სამუშაოდ წამოსვლის მსურველი გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე საჭირო იყო. აუცილებელი გახდა საქმეში რაიონის ხელმძღვანელების ჩარევა, კოლმეურნეთა ძალების მიზანშეწონილად განაწილება, რადგან ახლა სიმინდის თოხნის, შაქრის ჭარხლის მარგვლის, ბაღების, ბოსტნების და ვენახების მოვლის ალოა.

— ნუ გვეტყვით უარს სამგორში წასვლაზე, ხოხოვა რაიონის ხელმძღვანელებს სოფელ ტყემლოვანის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნიკოლოზ ქორთაიევმა. — სამგორი ჩვენთვის ისევე მახლობელი და მშობლიურია, როგორც ჩვენი სოფელი.

— მეც ასეთივე შუამდგომლობითა ვარ მოსული, — თქვა სოფელ ქარელის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მ. ბაზოვმა. კოლმეურნეები დაჟინებით მოითხოვდნენ სამგორში წასვლის ნებართვას, რესპუბლიკისათვის, მთელი ქართველი ხალხისათვის ამ უდიდესად მნიშვნელოვანი ხაშვილიშვილო საქმის— სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობაში ჩვენც უნდა მივიღოთ მონაწილეობა, თან დასძენდნენ, თუ საუკეთესო მაჩვენებლებს არ მოვიპოვებთ, შერცხვენილებად ჩაგვთვალეთო.

31 მაისს საღამოს ქარელის სადგურზე 1.400-მდე კოლმეურნე შეგროვდა რაიონის ყველა კოლმეურნეობიდან სამგორში წამოსასვლელად. ეშელონი დაიძრა თბილისისაკენ.

* * *

თითქოს განზრახო, ხელახლა გაჭირვეულდა ამინდი. წვიმის წყლის ნიაღვარი წამოვიდა. მაგრამ ნიაღვარს გზა მისცეს ქარელელებმა, ტრასაზე მუშაობა წუთითაც არ შეუწყვეტიათ.

ვინ იმუშავა უკეთესად? ქარელელ კოლმეურნეთა ხელმძღვანელებმა რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ვ. წიკლაურმა, რაიკომის მდივანმა ვლ. გელაშვილმა, წყალთა მეურნეობის სახსტრემო სამმართველოს უფროსმა ინჟინერმა დიმიტრი წაქაძემ 2 ივნისს შეაჯამეს პირველი შედეგები და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ძნელია გადაჭრით ითქვას, თუ რომელი კოლმეურნეობიდან წამოსული ჯგუფია უკეთესი. ყველა ერთიმეორეზე უკეთესია, ყველა ბეჯითად, მონდომებით, თავდადებით მუშაობს.

კარგად იმუშავეს სოფელ ქარელის სტალინის სახელობის კოლმეურნეობიდან ჩამოსულებმა, რომელთაც მათი კოლმეურნეობის თავმჯდომარე არჩილ ბაბლიძე ხელმძღვანელობს; არანაკლები წარმატება მოიპოვეს სოფელ გომბორის (ქარელის რაიონშიც არის ასეთი სოფელი) ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობიდან ჩამოსულებმა, რომელთაც თადარიგიანად ხელმძღვანელობდა მიხეილ მარღიშვილი. მათგან განსაკუთრებით ისახელეს თავი ივანე, დავით და დიმიტრი ზასოხაშვილებმა, ლევან თომაშვილმა, აბდულა მარღიშვილმა და ლევან ფილიშვილმა.

შესანიშნავად მოაწყვეს მუშაობა სოფელ ქარელის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა, რომელთაც მ. ბაზოვი ხელმძღვანელობდა. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი გომბორელებთან შეჯიბრებაში გაბო იოსებაშვილმა, ისაკი თავარაშვილმა, მიხა იოსებაშვილმა, ბაბრა გოჩაშვილმა და ალექსი ძენგლიშვილმა. ადრე დაამთავრა გამოყოფილ ნაკვეთზე მუშაობა და ვალების გადამეტებით 60 კუბმეტრი მიწის სამუშაო შეასრულა სოფელ ბრეთის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა ჯგუფმა, რომელსაც ალექსი ედილაშვილი ხელმძღვანელობდა.

* * *

სადგურზე სპეციალური მატარებელი ჩამოეყენებინათ. ქარელელები უკან ბრუნდებოდნენ.

— მეხამედ ჩამოვედით წელს სამგორში, მაგრამ ასე ნასიამოვნები ჯერ არ დავბრუნებულვართ...

— რით, მეგობარო?

— ბევრი რამ გაკეთებულა ამ ერთი წლის განმავლობაში სამგორის მიწის გახალისებლად და სახიხარულოა, რომ ამ დიდ საქმეში ჩვენი შრომითი წილიც დევს!

— გაიხად თუ ჩამოხვალთ, უფრო გაიხარებთ!

— უთუოდ, უთუოდ! მშენებლობა ვითარდება, წინ მიდის!... ქვეყანაც წინ მიდის, ცხოვრება უყოვლდღიურად უმჯობესდება. დიახაც გვიხარებთ, რასაკვირველია, კვლავაც ჩამოვალთ.

მატარებელი დაიძრა ქარელისაკენ.

დ. ლომთაძე

დანაზოგი ნედლეულით

ქუთაისი. (საკ. კორ.). 31 მაისი ქუთაისის ტყავფეხსაცმლის კომბინატში განსაკუთრებული აღმავლობით აღინიშნა. ლ. კორაბელნიკოვას მიმდევართა 14 ბრიგადამ ამ დღეს მეორედ იმუშავა დანაზოგი ნედლეულით.

მეფეხსაცმელეები წინადღესვე მოემზადნენ მთელი თვის მანძილზე მიღწეული ეკონომიით გეგმის გადამეტებით პროდუქციის გამოსაშვებად. საამქროებში გამოკრული იყო ლოზუნგები: „დღეს დანაზოგი ნედლეულით ვიმუშაობთ!", „მივაწოდოთ მომხმარებელს მეტი და მაღალხარისხოვანი ფეხსაცმელი!", „ვამრავლოთ კორაბელნიკოვას მეთოდით მომუშავეთა რიგები!".

ასამდე წარჩინებულმა სტახანოველმა ამ დღეს მაღალნაყოფიერად იმუშავა და გეგმის გადაჭარბებით 370 წყვილი ფეხსაცმელი გამოუშვა.

განსაკუთრებით მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს ფეხსაცმლის ზედაპირის გამომჭრელ საამქროში. აღნიშნული საამქროს ვ. აფხაიძისა და შ. გოგლიჩიძის კომპლექსური ეკონომიისათვის მებრძოლმა ბრიგადებმა 200-ზე მეტი წყვილი ფეხსაცმლის საზედაპირე გაამზადეს.

მისალმებათა ნაკადი

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მისალმებანი გამოგზავნეს და ამხანაგ სტალინს გულითადად უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე:

ადლერის სატყეო მეურნეობის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ტყის მეურნეობის სპეციალისტებმა;

ბუგურუსლანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა და მოსამსახურეებმა;

ესტონეთის სსრ კარიაკიულას ნადირების საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა, ქ. ტალინი;

მშრომელთა დეპუტატების ხარკოვის საოლქო საბჭომ;

ავტოსატრაქტორო მრეწველობის სამინისტროს დაუგავპილსის მოტო-ველო ჯაჭვების ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

უზბეკეთის ზეთსახდელ-ცხიმეული მრეწველობის ტრესტის მუშებმა, ინჟინრებმა, მოსამსახურეებმა, ქ. ტაშკენტი;

უკრაინის ხილის საკონსერვო მრეწველობის მთავარი სამმართველოს მუშა-მოსამსახურეებმა, ქ. კიევი;

ვოლოგდის № 1 პურის ქარხნის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ტიუმენის ოლქის ზავოდოუკოვის სპირტის კომბინატის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა;

უზბეკეთის საფეიქრო სარეწაო კავშირის მუშაკთა კოლექტივმა, ქ. ტაშკენტი;

ტამბოვის ოლქის ლისოგორსკის რაიონის კოლმეურნეობა „წითელი დროშის" წევრებმა;

ტალდი-კურგანის შაქრის კომბინატის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

პენზის ოლქის პოიმის რაიონის კოლმეურნეობა „ვპერიოდის" წევრებმა;

პენზის ოლქის კომინტერნის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა;

პენზის ოლქის კუზნეცკის საქალაქო გაზეთ „სტალინსკი კლიჩის" რედაქციისა და სტამბის მუშაკთა კოლექტივმა;

სარატოვის ოლქის მაკაროვის რაიონის კოლმეურნეობის „ოქტომბრის 13 წელი" წევრებმა;

ჟიტომირის ოლქის სლოვეჩანის რაიონის სოფელ რაკიტნოს კოლმეურნეთა კრებამ;

სარატოვის ოლქის მაკაროვის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა;

კრასნოდარის მხარის „ზაგოტზერნოს" ნოვოჯერელიევის დამამზადებელი პუნქტის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ვოროშილოვგრადის ოლქის ნოვო-ფსკოვის რაიონის მშრომელთა დეპუტატების ტიშკოვის სასოფლო საბჭოს სესიამ;

პოლტავის ოლქის გადიაჩის რაიონის სარის № 1 შვიდწლიანი სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

მოლდავეთის სსრ არმიის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების წევრთა კრებამ;

ხარკოვის ოლქის ოლხოვატკის რაიონის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ჩელიაბინსკის ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების საბავშვო სანატორიუმის ექიმთა და ბავშვთა კოლექტივმა;

სტალინგრადის ოლქის ლენინის რაიონის კოლმეურნეობა „დამკვრელი მეთევზის" წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის კიკვიძის რაიონის ალონეცის შვიდწლიანი სკოლის მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა;

ჩრდილოეთ კავკასიის რკინიგზის შენობებისა და ნაგებობების მეორე დისტანციის უბნის მუშაკთა კოლექტივმა;

ქ. ბაქოს ლენინის რაიონის სამედიცინო მუშაკებმა;

საქართველოს სსრ ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, თბილისი;

ხარკოვის მანქანათმშენებელი ტექნიკუმის მოსწავლეთა, მასწავლებელთა და მეცნიერ-ტექნიკურ თანამშრომელთა კოლექტივმა;

როსტოვის ოლქის სტეპნოის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ქ. მოსკოვის ძერჟინსკის რაიონის 605-ე სკოლის მე-7 „ა" კლასის მოსწავლეებმა;

კიროვოგრადის ოლქის ბოლშაია ვისკას რაიონის კოლმეურნეობა „ჩერვონი ჟოვტენის" წევრებმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის ორდინსკოეს საბავშვო სახლის აღსაზრდელთა და აღმზრდელთა კოლექტივმა;

კურსკის ოლქის ლგოვის მუშა-ახალგაზრდობის საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

ვორონეჟის ოლქის ხლევნოეს რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „1 მაისის" წევრებმა;

ალტაის მხარის ბელოგლაზოვის რაიონის კოსობოკოვის სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა კოლექტივმა;

კრასნოდარის მხარის კურგანის რაიონის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ბაქოს საქალაქო აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის სამმართველოს ლითონის ნაწარმის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ტაშკენტის 93-ე ცენტრალური სასელექციო სადგურის საბავშვო ბაღის ბავშვებმა და თანამშრომლებმა;

ტამბოვის ოლქის შაპკინოს რაიონის კუიბიშევის საშუალო სკოლის პიონერებმა, კომკავშირელებმა, მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა;

ქ. დონის როსტოვის ბაუმანის ქუჩის № 24 სახლის დიასახლისებმა;

კალინინის ოლქის პოგორელოეს რაიონის ჩკალოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

პერმის რკინიგზის სადგურ ზუევკის შენობათა და ნაგებობათა პირველი დისტანციის მუშებმა, ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა;

რკინიგზების კავკასიის ოლქის ტელეგრაფის № 1 კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ცვლამ;

ნოვოსიბირსკის ოლქის ორდინსკოეს სატყეო მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

აზერბაიჯანის სსრ უჯარის რაიონის შემნახველი სალაროს მუშაკთა კოლექტივმა;

აზერბაიჯანის სსრ შამხორის რაიონის კლარა ცეტკინის სახელობის ლენინის ორდენოსანი კოლმეურნეობის ახალგაზრდობამ და კომკავშირელებმა;

აზერბაიჯანის სსრ ასტარის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

არხანგელსკის ოლქის ემეცკის რაიონის არტელ „რეკორდის" და ინვალიდთა არტელის მუშა-მოსამსახურეებმა;

ტამბოვის ოლქის იზბერდეის რაიონის 1 მაისის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ქ. კურსკის „გასტრონომის" № 2 მაღაზიის მუშა-მოსამსახურეებმა;

დაუგავპილსის მუსიკალური სასწავლებლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

როვნოს ოლქის მეჟირიჩის რაიონის გაზეთ „ლენინსკა პრავდას" რედაქციის კოლექტივმა;

ვოლინის ოლქის ვლადიმირ-ვოლინის რაიონის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ალმა-ატის სახელმწიფო იურიდიული ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის, სტუდენტთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებელი ჩერნიგოვის ორწლიანი სახელმწიფო სკოლის მოსწავლეებმა, მასწავლებლებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

სომხეთის კომპოზიტორთა კავშირის გამგეობამ;

ლენინგრადის სამაცივრო და რძის მრეწველობის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობამ, სტუდენტებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

სამკერვალო და სატრიკოტაჟო მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა;

ჩელიაბინსკის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ინსტიტუტის მეცნიერმა მუშაკებმა, სტუდენტებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

ხარკოვის მესამე სახელმწიფო საპნის ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

მოლდავეთის სსრ ზგურიცის რაიონის სამრეწველო კომბინატის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კოლექტივმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის სუზუნის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნი პახარის" წევრებმა;

როვნოს ოლქის ალექსანდრიის რაიონის ზაბოროლსკის მტს-ის ტრაქტორისტებმა, კომბაინერებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

პენზის ოლქის ლუნინის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის სხივის" წევრებმა;

ოდესის სანატორიუმ „თეთრი ყვავილის" სამედიცინო მუშაკთა, მუშათა და მოსამსახურეთა კოლექტივმა;

აზერბაიჯანის სსრ ახსუის მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

ალტაის მხარის კამენის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ჟიტომირის ოლქის სლოვეჩანის რაიონის სოფელ პრიბიტოკის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის" წევრებმა და სოფლის ინტელიგენციამ;

სვერდლოვსკის ოლქის ბილინბაევის რაიონის კუზინსკის ინვალიდთა არტელ „კრასნი კუსტარის" წევრთა კოლექტივმა;

საკავშირო კ. პ. (ბ) ოქტომბრის რაიკომმა და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომმა, ქ. ნოვოსიბირსკი;

დნეპროპეტროვსკის ხორცისა და რძის მანქანების ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა;

კრასნოდარის მხარის გამომცემლობა „ნოვოკუბანსკი ბოლშევიკის" მუშაკთა კოლექტივმა;

კრასნოდარის სამხარეო ავტოტრესტის ავტოსატრანსპორტო კანტორის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა;

ალტაის მხარის ბელოგლაზოვის რაიონის კოლმეურნეობა „სწორი გზის" წევრებმა;

კურსკის ოლქის პონირის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინის გზის" წევრებმა;

ბელორუსიის სსრ მოგილიოვის რაიონის მშრომელთა დეპუტატების შეფერის სასოფლო საბჭოს სესიამ.

(გაგრძელება იქნება)

პარტიული აქტივის გულდასმით და ბეჯითად სწავლებისათვის

ა. მგელაძე

საქართველოს კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი

★

ჩვენი პარტია მუდამ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აქტივის სწავლებას. პარტიის აქტივი პარტიის კადრებია, პარტიის მეთაურთა შემადგენლობაა, ხოლო რაკი ჩვენი პარტია სათავეში უდგას ხელისუფლებას, ისინი წარმოადგენენ აგრეთვე ხელმძღვანელი სახელმწიფო ორგანოების მეთაურთა შემადგენლობას.

„პარტიული ხელმძღვანელობა რომ სათანადო სიმაღლეზე ავიყვანოთ, უნდა ავამაღლოთ, უწინარეს ყოვლისა, პარტიული მუშაკების კვალიფიკაცია" (ი. სტალინი).

ამისათვის საჭიროა, რომ პარტიული აქტივი გულდასმით, ბეჯითად და მოთმინებით სწავლობდეს, ეუფლებოდეს მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ყოვლისმძლე მოძღვრებას. ხელმძღვანელი პარტიული კომიტეტები ყოველნაირად უნდა ზრუნავდნენ პარტიული აქტივის სწავლებისათვის და ზრდიდნენ მას. კადრების მუდმივი ზრდისა და დაწინაურებისათვის ზრუნვა ჩვენი პარტიის, როგორც მზარდი, აღმავალი პარტიის უმნიშვნელოვანესი განმასხვავებელი თვისებაა.

ომისშემდგომ პერიოდში ჩვენი სამშობლოს წინაშე დასახულია ახალი გიგანტური ამოცანები. ითვალისწინებს რა ამ ამოცანებს, კომუნისტური პარტია—საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი—უწინარეს ყოვლისა, აძლიერებს პარტიის აქტივისადმი მომთხოვნელობას. დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრა მოითხოვს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდების შემდგომ სრულყოფას, შინაპარტიული მუშაობის ყოველმხრივ გაძლიერებას.

პარტიული მუშაკი პოლიტიკური ხელმძღვანელია. მას უნდა ჰქონდეს ფართო ჰორიზონტი, მაღალი კულტურა, იყოს პრინციპული მუშაობაში, შეურიგებელი ნაკლოვანებათა მიმართ, არ ეშინოდეს სიძნელეებისა და ჰქონდეს მათი გადალახვის უნარი. ამისათვის პარტიულ მუშაკს უნდა ჰქონდეს სერიოზული მარქსისტულ-ლენინური მომზადება და დიდი პრაქტიკული გამოცდილება.

ახორციელებს რა ამხანაგ სტალინის მითითებებს, პარტია დიდ მუშაობას ეწევა, რათა აქტივი, პარტიისა და სახელმწიფო აპარატის მუშაკები შეაიარაღოს მარქსისტულ-ლენინური მეცნიერებით, საზოგადოებრივი განვითარების, საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური პოლიტიკის კანონების ცოდნით, აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის საკითხთა გაგებით.

ამხანაგ სტალინის ინიციატივით ამ ბოლო ხანებში განხორციელებულია მთელი რიგი ღონისძიებანი რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო მასშტაბის პარტიული მუშაკების მომზადების გასაძლიერებლად. შექმნილია უმაღლესი პარტიული სკოლა და კურსები პარტიული, საბჭოთა და საგაზეთო მუშაკების გადასამზადებლად, აგრეთვე მოწყობილია რესპუბლიკური და საოლქო პარტიული სკოლებისა და კურსების ფართო ქსელი. ამ სკოლებში და კურსებზე მოსკოვსა და თბილისში სწავლობს ათობით ამხანაგი აფხაზეთის პარტიული აქტივიდანაც.

გარდა ამისა, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილების შესაბამისად, პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტთან 1949 წლიდან პარტიული აქტივისათვის შექმნილია მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი. სულ უნივერსიტეტის პირველ კურსზე ჩარიცხული იყო 171 მსმენელი. მთელი შემადგენლობიდან 98 კაცს აქვს უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება, 73 კაცს—საშუალო განათლება. სასწავლო წლის დასაწყისში შერჩეულ იქნა უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებელთა შემადგენლობა და დამტკიცებულ იქნა პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს სხდომაზე.

მიუხედავად ზოგიერთი ნაკლოვანებისა, ძირითადად უნივერსიტეტში მუშაობა დაყენებულია დამაკმაყოფილებლად. მიმდინარე წლის იანვრისათვის უნივერსიტეტში დამთავრებული იყო პირველი კურსის პროგრამის შესწავლა. მსმენელთა დიდმა უმრავლესობამ პროგრამა ფრიადზე და კარგზე შეითვისა.

გარდა ამისა, აფხაზეთში გაჩაღებულია დიდი მუშაობა აქტივის მარქსისტულ-ლენინური სწავლებისა და აღზრდისათვის. ქალაქებსა და რაიონებში პარტიული აქტივის დიდი უმრავლესობა დამოუკიდებლად სწავლობს მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. ბევრი აქტივისტი, უმთავრესად იმათგან, რომელთაც უმაღლესი განათლება არა აქვთ, დაუსწრებლად სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში.

მაგრამ მაინც ბოლშევიკური პირდაპირობით უნდა ვაღიაროთ, რომ მთელი რიგი ხელმძღვანელი მუშაკები უდარდელად ეკიდებიან თავიანთი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებას, ხოლო ეს, თავის მხრივ, უარყოფით გავლენას ახდენს მათს მუშაობაზე, სამეურნეო-პოლიტიკური ამოცანების გადაჭრაზე.

მოვიყვანოთ ფაქტები.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ამხ. ა. გულია სრულიად არ მუშაობს თავის თავზე, არ ეუფლება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას. ფორმალურად მას აქვს სწავლის ინდივიდუალური გეგმა, რომლითაც მან გაითვალისწინა საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შესწავლა „მოკლე კურსით". მაგრამ, სამწუხაროდ, სასწავლო გეგმა არ შეასრულა და სრულიად ვერ ერკვევა საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის საკითხებში. იგი არ კითხულობს არც მხატვრულ ლიტერატურას, იშვიათად დაიარება თეატრში, კინოში, ცუდად ერკვევა გეოგრაფიულ რუკაში. თავისი იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისადმი ასეთმა უდარდელმა დამოკიდებულებამ იგი მიიყვანა პოლიტიკურ ჩამორჩენილობამდე, ამან კი უარყოფითი გავლენა მოახდინა მის მუშაობაზე. მას დაეკარგა სიახლის გრძნობა, ვერ ამჩნევს სერიოზულ ნაკლოვანებებს და ბოროტმოქმედებას იმ სამინისტროს სისტემაში, რომელსაც იგი მეთაურობს; მუშაობს უპერსპექტივოდ, დავალებიდან დავალებამდე, არ იჩენს არავითარ ინიციატივას.

ქალაქ სოხუმის მე-2 უბნის სახალხო მოსამართლე ამხ. ნ. შარანგიაც ცუდად მუშაობს მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლებისათვის. ის ვერ ერკვევა ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის ძირითად საკითხებში, ცუდად იცის საბჭოთა სახელმწიფოს ფუნქციები. ხოლო ვინ უნდა იცოდეს ეს, თუ არა სახალხო მოსამართლემ? ამხ. შარანგია გაზეთებსაც კი იშვიათად კითხულობს. მისი აზრით, ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნები შემდეგია: ჩეხოსლოვაკია, ჩინეთი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შორის მან ისეთი ქვეყანაც კი დაასახელა, რომელსაც სრულიად არაფერი აქვს საერთო სახალხო რესპუბლიკასთან. ამხ. შარანგიამ არაფერი არ იცის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნაზე, სრულიად ვერ ერკვევა გეოგრაფიულ რუკაში. მაგალითად, მან ვერ შეძლო რუკაზე ეჩვენებინა შორეული აღმოსავლეთი, კორეა, უნგრეთი. გასულ სეზონში ის ერთხელაც არ ყოფილა თეატრში. ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს მის მუშაობაზე. მუშაობს რა ქალაქ სოხუმის მეორე უბნის სახალხო მოსამართლედ, ცუდად ართმევს თავს სამუშაოს, ხშირად გამოაქვს არასწორი განაჩენი.

პარტიული ორგანიზაციები ზოგჯერ არასწორად შეარჩევენ ხოლმე კონსულტანტებს იმ კომუნისტთა დასახმარებლად, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ ბოლშევიკური პარტიის ისტორიასა და თეორიას.

მაგალითად, აფხაზეთის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პარტიულმა ორგანიზაციამ კონსულტანტად გამოჰყო ამხ. ლ. გამსახურდია. მას მიამაგრეს ხუთი კომუნისტი, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიას. და რა აღმოჩნდა? მისთვის საკონსულტაციოდ მიმაგრებული ამხანაგები გულდასმით სწავლობენ პარტიის ისტორიას, ხოლო თვით კონსულტანტი ამხ. გამსახურდია არ მუშაობს თავის თავზე, ძლიერ ცუდად ერკვევა პარტიის ისტორიაში და ამიტომ იგი ვერაფერს აძლევს მასზე მიმაგრებულ ამხანაგებს. ამხ. გამსახურდია თავის მუშაობას ფარგლავს იმის აღრიცხვით, თუ როგორ ასრულებენ კომუნისტები სწავლის ინდივიდუალურ გეგმას. რასაკვირველია, ასეთი კონსულტანტები ვერავითარ სარგებლობას ვერ მოიტანენ. პარტიული ორგანიზაციები უფრო სერიოზულად უნდა მოეკიდონ ამ საქმეს და კონსულტანტებად გამოჰყონ საუკეთესო, მომზადებული და თავის თავზე ბეჯითად მომუშავე კომუნისტები.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს თავის თავზე გუდაუთის რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. დ. ჩირქვზია, რომელთან საუბარშიც გამოირკვა, რომ მან არ იცის რამდენი და რომელი მოკავშირე რესპუბლიკები შედიან საბჭოთა კავშირში. მან შეძლო დაესახელებინა მხოლოდ ოთხი მოკავშირე რესპუბლიკა — საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და ესტონეთის რესპუბლიკები.

ტყვარჩელის ბერიას სახელობის შახტის უფროსი ამხ. ნ. კვინიხიძე სრულიად არ მუშაობს თავისი იდეურ-თეორიული დონის ასამაღლებლად.

არის კომუნისტთა ისეთი კატეგორია, რომლებიც სწავლისადმი ასეთ არაბოლშევიკურ დამოკიდებულებას ხსნიან თავიანთი დატვირთულობით, მაგრამ ეს ახსნა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს, იგი მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ხომ ფაქტია, რომ ჩვენი პარტიული აქტივის—ხელმძღვანელ კომუნისტ მუშაკთა უმრავლესობა თავის თავზეც მუშაობს, გულდასმით და ბეჯითად ეუფლება მარქსიზმ-ლენინიზმს და წარმატებითაც ართმევს თავს დაკისრებულ სამუშაოს.

ასე რომ ამ ამხანაგების გადატვირთვით კი არ აიხსნება ის გარემოება, რომ ისინი თავის თავზე არ მუშაობენ, არამედ მათი არაორგანიზებულობით.

ბოლშევიკს უნდა ჰქონდეს უნარი შეახამოს თეორიის შესწავლა პრაქტიკულ მუშაობასთან, რაც უნდა დატვირთული იყოს იგი. ჯერ კიდევ 25 წლის წინათ ამხანაგი სტალინი, უპასუხებდა რა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" რედაქციის კითხვებზე, ამბობდა:

„მაგრამ შესაძლებელია თუ არა თეორიისა და პრაქტიკის ასეთი შეხამება დღევანდელ პირობებში, როცა კომკავშირული აქტივი ესოდენ დატვირთულია? დიახ, შესაძლებელია. თქმა არ უნდა, ეს საქმე ძნელია. მაგრამ იგი სავსებით შესაძლებელია, რაზან იგი ასე საჭიროა, რაზან უამიროდ შეუძლებელია კომკავშირში ნამდვილი ლენინური აქტივის შექმნა. ჩვენ ვერ დავემსგავსებით მოდუნებულ ადამიანებს, რომლებიც სიძნელეებს გაურბიან და იოლ სამუშაოს ეძებენ. სიძნელეები სწორედ იმისათვის არსებობენ, რომ შევებრძოლოთ მათ და დავძლიოთ. ბოლშევიკები აუცილებლად დაიღუპებოდნენ კაპიტალიზმის წინააღმდეგ თავიანთ ბრძოლაში, მათ რომ სიძნელეთა დაძლევა არ ესწავლათ". (ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. VII, გვ. 274).

ამხანაგ სტალინის ეს სიტყვები მთლიანად და სავსებით შეეხება პარტიულ აქტივსაც. ყოველი ბოლშევიკი მოთმინებით და ბეჯითად უნდა სწავლობდეს. მან უნდა ჰპოვოს ძალა იმისათვის, რომ სწორად შეუხამოს თავისი პრაქტიკული საქმიანობა თეორიულ სწავლას. ეს ხელს შეუწყობს მას ბოლშევიკურად გაართვას თავი სამუშაოს, რომელიც პარტიამ მას მიანდო.

მაღალიდეური ადამიანი უკან არ იხევს სიძნელეთა წინაშე, იგი გაბედულად ხვდება ყოველგვარ სიძნელეს და ბოლშევიკურად სძლევს მას. მაღალიდეური ადამიანი განუწყვეტლივ აუმჯობესებს თავის თეორიულ მომზადებას, მას სჩვევია სიახლის ძვირფასი გრძნობა, ყოველ საქმეში იჩენს თაოსნობას და შემოქმედების უნარს. ბოლშევიკური იდეურობით, პოლიტიკური მიზანსწრაფულობით უნდა იყოს გამსჭვალული ყოველი კომუნისტის, რიგითი თუ ხელმძღვანელი კომუნისტის პრაქტიკული მუშაობა.

ცნობილია, რომ:

„...რაც უფრო მაღალია სახელმწიფოებრივი და პარტიული მუშაობის, რომელიც გნებავთ დარგის მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მაღალი და ნაყოფიერია თვით მუშაობა, მით უფრო ეფექტიურია მუშაობის შედეგები, და პირიქით,—რაც უფრო დაბალია მუშაკთა პოლიტიკური დონე და მარქსისტულ-ლენინური შეგნებულობა, მით უფრო მოსალოდნელია მუშაობის ჩაშლა და ჩაფუშვა, მით უფრო მოსალოდნელია თვით მუშაკთა დაქნინება და გადაქცევა მეწვრილმანე საქმოსნებად, მით უფრო მოსალოდნელია მათი გადაგვარება". (ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, გვ. 741).

ამას წინათ პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმმა სპეციალურად განიხილა საკითხი [illegible] აქტივის სწავლების შესახებ. [illegible] გამოვლინებულ იქნა [illegible] ნებანი პარტიული აქტივის სწავლების დაყენების საქმეში. ნაკლოვანებანი გამოვლინებულ იქნა ამ მნიშვნელოვანი საქმისადმი პარტიის რაიონული კომიტეტების, საქალაქო კომიტეტებისა და თვით საოლქო კომიტეტის მხრივ ხელმძღვანელობაში. კერძოდ, პარტიის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება და ლექტორთა ჯგუფი ამ საკითხს საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ. როგორც გამოირკვა, პარტიული აქტივისათვის ძალიან ცოტა ლექციები იკითხებოდა ბოლშევიკური პარტიის ისტორიის, ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიის, საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის საკითხებზე. ლექციების წასაკითხავად არ იწვევენ მაღალკვალიფიციურ ლექტორებს. აქტივისათვის წაკითხული ზოგიერთი ლექცია დაბალი ხარისხისაა და შეცდომებსაც შეიცავს.

საქართველოს კ. პ. (ბ) გალის რაიონული კომიტეტის ლექტორთა ჯგუფი არ უზრუნველყოფს სათანადო კონტროლს ლექტორების მიერ წაკითხული ლექციების შინაარსისადმი. ლექციების განხილვა ლექტორთა ჯგუფის სხდომებზე ხშირად ფორმალურია, არ ამჟღავნებენ ნაკლოვანებებს და შეცდომებს და წასაკითხავად უშვებენ არაკეთილხარისხოვან ლექციებს. მაგალითად, 1949 წლის დეკემბერში ლექტორთა ჯგუფის სხდომაზე იხილავდნენ ამხ. ვ. ჩემინოვის ლექციას თემაზე: „ბოლშევიკების პარტია — დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი". ეს ლექცია დაშვებულ იქნა წასაკითხავად სრულიად გაუსწორებლად, მაშინ როცა მას პრინციპული ხასიათის სერიოზული ნაკლოვანებანი ჰქონდა. ასევე ფორმალურად განიხილეს ლექტორთა ჯგუფის სხდომაზე ამხ. პ. ემუხვარის ლექცია თემაზე „სტალინური კონსტიტუცია მსოფლიოში ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა", რომელსაც არსებითი ნაკლოვანებანი ჰქონდა. ამხ. ემუხვარი თავის ლექციაში წერს: „პროლეტარიატმა თავის ხელში უნდა აიღოს ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანა და გარდაქმნას იგი". ლენინიზმი კი გვასწავლის, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფო მანქანა კი არ უნდა გარდავქმნათ, არამედ უნდა დავამსხვრიოთ და სრულიად ახალი პროლეტარული სახელმწიფო შევქმნათ. ამხ. ემუხვარის დასახელებულ ლექციაში არის აგრეთვე სხვა შეცდომები და არასიზუსტე.

პარტიის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება და ლექტორთა ჯგუფი საკმაო კონტროლს არ უწევენ როგორც თვით საოლქო, ისე საქალაქო და რაიონული კომიტეტების ლექტორებს, და სწორედ ამის შედეგია ნაკლოვანებანი და შეცდომანი, რომლებიც ზოგიერთ ლექციაშია დაშვებული. არის ლექციების ჩაშლის შემთხვევებიც.

პარტიის საოლქო კომიტეტის პლენუმმა დასახა ღონისძიებანი აღნიშნული შეცდომებისა და ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად და პარტიული აქტივის სწავლების გადაჭრით გასაუმჯობესებლად.

პარტიული აქტივის სწავლების სწორად მოწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს კომუნისტების პოლიტიკური განათლების დარგში მთელი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. რიგითი კომუნისტები მხარს უსწორებენ აქტივს. იმაზე, თუ როგორ სწავლობს აქტივი, ბევრად დამოკიდებულია პოლიტიკური განათლების საერთო აღმავლობა პარტიულ ორგანიზაციებში. პარტიულ ორგანიზაციებში პოლიტიკურ განათლებას რაიონული კომიტეტები ახორციელებენ პარტიული აქტივის მეშვეობით, და როცა აქტივი ბოლშევიკურ მაგალითს უჩვენებს სწავლებაში, მაშინ, უეჭველია, კომუნისტების მიერ მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის ნაშრომთა შესწავლის საქმეში მიღწეულ იქნება ახალი სერიოზული წარმატებანი.

პარტიული აქტივის სწავლების გაუმჯობესებით ჩვენ მოვიპოვებთ ახალ წარმატებებს მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის საქმეში, ბრძოლებში გამოწრთობილი საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, ჩვენი ბრძენი ბელადის და მასწავლებლის, მშობლიური, საყვარელი სტალინის გარშემო პარტიული ორგანიზაციის უფრო მტკიცედ დარაზმვის საქმეში.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

მუშა-მოსამსახურეთა მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო დათვალიერება

საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნომ მიიღო გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა კომიტეტთან ერთად მიმდინარე წლის ივნისიდან 1951 წლის 1 მარტამდე ჩატარდეს მუშა-მოსამსახურეთა მხატვრული თვითმოქმედების საკავშირო დათვალიერება.

მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერების საკითხი ამ დღეებში განიხილა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა.

დათვალიერების სახელმძღვანელოდ პროფსაბჭოსთან შეიქმნა რესპუბლიკური კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან პროფესიული ორგანიზაციების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეთა კომიტეტის წარმომადგენლები, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეები. შეიქმნება აგრეთვე დათვალიერების ჩამტარებელი საქალაქო, რაიონული და ადგილობრივი კომისიები (საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში).

დათვალიერების პერიოდში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივების მუშაობის გაუმჯობესებას, მათი რეპერტუარის საბჭოთა ავტორებისა და კლასიკოსების საუკეთესო დრამატული ნაწარმოებებით შევსებას.

საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში, კულტურის სახლებში, კლუბებსა და წითელ კუთხეებში შეიქმნება ახალი თვითმოქმედი წრეები, რომლებშიც ჩაბმული იქნებიან მუშა-მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრები.

დათვალიერებაში მონაწილეობას მიიღებენ ხალხური ინსტრუმენტების თვითმოქმედი ორკესტრები, სიმფონიური და სასულე ორკესტრები, ბაიანისტთა და მეგარმონეთა ანსამბლები, ნაციონალური ანსამბლები, საგუნდო, მოცეკვავეთა, დრამატული და საოპერო კოლექტივები, მხატვრული აგიტბრიგადები, აგრეთვე სხვადასხვა ინსტრუმენტებზე ინდივიდუალური შემსრულებლები, მომღერლები და მკითხველები.

თვითმოქმედი წრეების ადგილობრივი დათვალიერება საწარმოებსა, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში უნდა ჩატარდეს მიმდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბერში, რაიონული და საქალაქო — დეკემბერში.

რესპუბლიკური დათვალიერება მოეწყობა 1951 წლის თებერვალში.

ფულადი პრემია შეჯიბრებაში წარმატებისათვის

პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ შეაჯამეს წყალთა მეურნეობის მშენებლობათა კოლექტივების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის მუშაობის შედეგები, და საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს და მეორე ფულადი პრემია მიაკუთვნეს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს ტრესტ „წყალმშენის" ალაზნის სარწყავი სისტემისა და მდინარე დურუჯის ნაპირსაცავი კედლის მშენებელთა კოლექტივებს.

გარდა ამისა, საკავშირო პროფსაბჭომ და წყალთა მეურნეობის სამინისტროს გადაწყვეტილებაში აღინიშნა თეძი-ოკამის სარწყავი სისტემის მშენებელთა კოლექტივის კარგი მუშაობა.

საგაზაფხულო სამუშაოები კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1 ივნისის ცნობებით)

დათესილია 492.656 ჰექტარი

გეგმით გათვალისწინებული 497.230 ჰექტარიდან 1 ივნისისათვის საქართველოს კოლმეურნეობებში დათესილია 492.656 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები, რესპუბლიკური დავალება შესრულებულია 99,1 პროცენტით. გეგმა მთლიანად შესრულებულია 39 რაიონში.

აფხაზეთში თესვის გეგმა 97,4 პროცენტით არის შესრულებული, აჭარაში —86,7, სამხრეთ ოსეთში—92,2, აბაშის რაიონში—99,1, ცხაკაიას—96,7, ხობის —93,2, ჩოხატაურის—95,2, წყალტუბოს—90,7, სამტრედიის—95,7, წულუკიძის—95,9, ზესტაფონის—96,8, ჩხარის—97,9, ქიათურის—98,6, ტყიბულის—99,5, ადიგენის—96, გორის—96,7, კასპის—96,7, ბორჯომის—98,2, წალკის—95,4, თეთრი წყაროს—99,8, ყაზბეგის—56,9, მცხეთის—92,3, გარდაბნის რაიონში—93,3 პროცენტით.

მარცვლეული და პარკოსანი, მათ შორის თავთავიანი კულტურების, თესვის რესპუბლიკური გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული. თესვა დაუმთავრებელია აჭარაში, სამხრეთ ოსეთში და მცხეთის, წალკის, გორის, ადიგენის, ცაგერის, ონის, ქიათურის, ვანის, სამტრედიის, წყალტუბოს, ლანჩხუთის, ხობის, ყაზბეგის რაიონებში.

სანიადოდ მოხნულია 52.037 ჰექტარი

მაისის უკანასკნელ ხუთდღიურში საქართველოს კოლმეურნეობებმა სანიადოდ 10.116 ჰექტარი მოხნეს, სულ 1 ივნისისათვის კი მოხნულია 52.037 ჰექტარი. რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 86,7 პროცენტით.

დავალება მთლიანად განაღდებულია სიღნაღის, კაჭრეთის, ქარელის, ხაშურის, ახალციხის, წითელწყაროს, თელავის, ყვარლის, გარდაბნის, თბილისის გარეუბნის რაიონებში.

სამხრეთ ოსეთში სანიადო ხვნის გეგმა შესრულებულია 15 პროცენტით, ახალქალაქის რაიონში—65,7, ბოგდანოვკის—28,9, ადიგენის—25,7, ასპინძის—30, გორის—65,6, კასპის—48,6, წალკის—25,2, დუშეთის—72,5, თეთრი წყაროს—42,2, თიანეთის—71,6, გურჯაანის — 40,3, ახმეტის — 90,5, მცხეთის — 73,1, მარნეულის — 98,9, ბოლნისის—68,6, საგარეჯოს — 90,9, დმანისის რაიონში — 77,3 პროცენტით. ბორჯომის რაიონში გეგმით გათვალისწინებული 150 ჰექტარიდან ერთი ჰექტარიც არ არის მოხნული.

რატომ ითმენენ დამახინჯებებს?

პარტიის საგარეჯოს რაიკომმა 1947 წლის დეკემბერში რჩევა მისცა სართიჭალის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს გამგეობის თავმჯდომარედ აერჩიათ მათივე სოფლის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე გიორგი გენგაშვილი. სართიჭალელებს არ მოეწონათ რაიკომის ბიუროს ეს რჩევა, რადგან მათ კარგად ახსოვდათ ამავე რაიკომის ბიუროს 1945 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება სართიჭალის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის გ. გენგაშვილის, როგორც უხეში ადმინისტრატორისა და საკოლმეურნეო ქონების გამნიავებლის, თანამდებობიდან მოხსნის შესახებ. სართიჭალელებს კარგად ახსოვდათ ამავე რაიკომის ბიუროს მომდევნო წლის გადაწყვეტილება გენგაშვილის პასუხისგებაში გადაცემის შესახებ აღნიშნულ კოლმეურნეობაში ჩადენილი ბოროტმოქმედების გამო. სართიჭალელებს დავიწყებული არ ჰქონდათ აგრეთვე ადგილობრივი სასამართლო ორგანოების გადაწყვეტილება (თუმცა ლმობიერი) გენგაშვილისათვის 10 თვის იძულებითი მუშაობის მისჯის შესახებ.

რადგან პარტიის საგარეჯოს რაიკომმა, მხედველობაში არ მიიღო წლების მანძილზე გენგაშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულობანი, სართიჭალელებმა იფიქრეს, ალბათ, ის გამოსწორების გზას დასდგომიაო, და აირჩიეს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ.

მუშაობის დაწყების პირველ დღეებშივე გამოირკვა, რომ გენგაშვილს როდი აუღია ხელი კოლმეურნეობის მართვის თავის „მეთოდებზე". მას ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად, თვითნებობს, ლანძღავს და აგინებს კოლმეურნეებს, ხოლო ზოგჯერ მათ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებს.

კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ გ. გენგაშვილის არჩევა მაშინ მოხდა, როცა ფულის რეფორმა განხორციელდა. გამოცდილი კომბინატორი სწრაფად დატრიალდა და ფულის მითვისების გზები ხელდახელ გამონახა. გენგაშვილმა იმნაირად მოაწყო საქმე, რომ კოლმეურნეობას 128 ათასი მანეთი აზარალა, ხოლო თვითონ და მისმა დამქაშებმა ამ ოპერაციით კარგად მოითბეს ხელი.

გ. გენგაშვილმა ფულის ოპერაციის ანალოგიური კომბინაციის გაკეთება სოფლის კოოპერატივშიც მოასწრო, საიდანაც სულ რამდენიმე დღის განთავისუფლებული იყო. სოფლის კოოპერატივში მის მიერ ჩადენილი ყალბი ფულადი ოპერაციების შესახებ სათანადო სიგნალები ადრე შევიდა საგარეჯოს რაიკომში. ეს საქმე რაიონის პროკურატურის ორგანოების ხანგრძლივი (დღემდე დაუმთავრებელი) ძიების საგანი გახდა. ბოლოს, როგორც იქნა, გაბედა საგარეჯოს რაიონის პროკურატურამ (პროკურორი ჩხეიძე) დაედასტურებია გენგაშვილის დანაშაული, მაგრამ საგარეჯოს რაიკომსა და რაიაღმასკომში დღესაც იმ აზრისა არიან, რომ ფულის რეფორმის დროინდელ კომბინაციებზე კოლმეურნეობის თავმჯდომარის „გაფუჭება" თითქოს მიზანშეწონილი არაა.

აქ რომ ამ „თავმჯდომარეს" მფარველობენ, ეს მრავალი სხვა ფაქტითაც დასტურდება. რაიკომში წლების მანძილზე შედიოდა მამხილებელი მასალა იმის შესახებ, რომ ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში ამახინჯებდნენ საკოლმეურნეო წესდებას, რომ კოლმეურნეობის ფერმებში ანიავებდნენ პირუტყვს, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე გენგაშვილი ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა კოლმეურნეებს. არც ერთ ამ სიგნალს რაიკომი ან არ გამოხმაურებია, ან თუ გამოეხმაურა, შედეგი არ მოჰყოლია.

შარშან ზაფხულში მსხვილფეხა პირუტყვის ფერმაში (ფერმის გამგე ს. გედევანიშვილი) კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიამ გამოავლინა მთელი რიგი დამახინჯებანი: ფერმის გამგის მიერ რამდენიმე სული პირუტყვის მითვისება, სიკვდილიანობის საფარით პირუტყვის დაკვლა, ფერმის თივის კერძოდ გაყიდვა, მოუვლელობით პირუტყვის დასუსტება და დაავადმყოფება.

საჭირო იყო სარევიზიო კომისიის მასალების განხილვა კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე, მაგრამ, ვინაიდან ფერმის გამგე ს. გედევანიშვილი კოლმეურნეობის თავმჯდომარის სიძეა, საკითხი არ განხილულა. ფერმაში შექმნილი მდგომარეობა ფორმალურად, ვალის მოსახდელად განიხილა კოლმეურნეობის პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. მესხი), რომლის მიერ მიღებულ დადგენილებასაც არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

კოლმეურნეები დაჟინებით მოითხოვდნენ საკოლმეურნეო პირუტყვის გამნიავებლის დასჯას. კოლმეურნეთა სიგნალებმა რაიკომამდეც მიაღწია. რაიკომის ბიურომ მიმდინარე წლის 24 იანვრის დადგენილებით რჩევა მისცა სართიჭალელ კოლმეურნეებს საკოლმეურნეო პირუტყვის გამნიავებლისათვის სამუშაოდან მოეხსნათ ფერმის გამგე ს. გედევანიშვილი; ამ დადგენილების მიუხედავად, გედევანიშვილი დღემდე არხეინად განაგრძობს ფერმის გამგედ მუშაობას. კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამას იმით ხსნის, რომ „შესაფერისი კადრი ვერ გამოვნახეთო". არც რაიკომში არიან დაინტერესებული ბიუროს გადაწყვეტილების შესრულებით.

სართიჭალის კოლმეურნეობაში სისტემად აქციეს რაიკომის ბიუროს დადგენილების შეუსრულებლობა. 1949 წლის შემოდგომაზე საგარეჯოს რაიკომის ბიურომ საჭიროდ ცნო ტელმანის სახელობის კოლმეურნეობის საწყობის გამგის ლომიძის სამუშაოდან მოხსნა იმისათვის, რომ მან უკონდიციო თესლი გასცა დასათესად. ლომიძე კი დღემდე აღნიშნულ ადგილზე მუშაობს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. გენგაშვილმა ბიუროს გადაწყვეტილება არ შეასრულა, რადგან, როგორც ჩანს, დაიმედებული იყო, რომ საგარეჯოს რაიკომი თავის გადაწყვეტილების შესრულებას არ შეამოწმებდა.

რაიკომში ვხვდებით სართიჭალის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობიდან შესული საყურადღებო სიგნალების წაყრუების ფაქტებს. ერთი ასეთი ფაქტი შარშან მოხდა: კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გიორგი გენგაშვილმა კაბინეტში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა კოლმეურნეობის აგრონომს. ამ საქმეზე რამდენიმე დღის შემდეგ პარტორგანიზაციამ კომისია გამოჰყო, ფაქტი დადასტურდა, მაგრამ ეს საკითხი პარტორგანიზაციას არ განუხილავს იმ მოტივით, რომ საქმეში რაიკომი ჩაერიაო. საკითხის შესასწავლად რაიკომის მესამე მდივანი ამხ. ფანოზაშვილი ადგილზე ჩავიდა. ფაქტი ამჯერადაც დადასტურდა. მოსალოდნელი იყო საგარეჯოს რაიკომი დამნაშავეს დასჯიდა, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა. რატომღაც საკითხი არც კი გაუტანიათ რაიკომის ბიუროს სხდომაზე.

რახან რაიკომმა ასე წაუყრუა ამ საქმეს, გენგაშვილი კიდევ უფრო გათამამდა. იგი განაგრძობს კოლმეურნეთა აბუჩად აგდებას, ლანძღვა-გინებას და ფიზიკურ შეურაცხყოფასაც. გასული წლის გაზაფხულზე მან სცემა ტრაქტორისტ კუშტულ საფთაროღლის და კოლმეურნე როსტიაშვილს, სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა კოლმეურნე ქალებს — ნ. ემელიანოვას, ო. კობაიძეს, ა. გაფიაშვილს და სხვ.

ამ ფაქტების შესახებ დროულად მიდიოდა რაიკომსა და რაიონის სხვა ხელმძღვანელ ორგანოებში სიგნალები, მაგრამ მათ სათანადო მსვლელობა არ ეძლეოდათ. ხელმძღვანელი ამხანაგები ამის მოტივად იმას აყენებენ, რომ გ. გენგაშვილი თითქოს მოწინავე კოლმეურნეობის თავმჯდომარეა და ასეთ „წვრილმანზე" მისი გადაყენება მიზანშეწონილი არ არისო.

სინამდვილეში როგორ გამოიყურება საგარეჯოს ტელმანის სახელობის კოლმეურნეობა? არის თუ არა იგი მოწინავე, როგორადაც ამას რაიკომში გვისახავენ? რა თქმა უნდა, არა. კოლმეურნეობაში გარდა იმისა, რომ შემცირდა მარცვლეულის მოსავლიანობა და ფულადი შემოსავალი, ადგილი აქვს წესდების დამახინჯებას, საკოლმეურნეო ქონების განიავებას. მიმდინარე წლის 1-ლ იანვრისათვის კოლმეურნეობაში დებიტორული დავალიანება 240.525 მანეთს შეადგენდა. გასულ წელს გასაცემი შრომადღის დავალიანება 170.000 მანეთს აღემატება. ეს-მაშინ, როდესაც კოლმეურნეობის აპარატში მომუშავეებს მიმდინარე წლის ავანსებიც კი აქვთ მიღებული. კოლმეურნეობაში ჩაშლილია სოციალისტური შეჯიბრება.

შარშან სართიჭალელმა კოლმეურნეებმა ერთსულოვნად მოაწერეს ხელი მეოთხე ხუთწლედის მეოთხე წლის სახელმწიფო სესხზე 108.900 მანეთის რაოდენობით. კოლმეურნეთა ერთმა ნაწილმა მეოთხე ხუთწლედის მეოთხე წლის სახელმწიფო სესხის ნაცვლად მიიღო მესამე წლის სესხი. გარდა ამისა, ხელმოწერილი თანხიდან 8.900 მანეთი სალაროში არც კი შეუტანიათ, ეს თანხა მითვისებულ იქნა.

მიმდინარე წლის ხორცის დამზადების ანგარიშში შარშან კოლმეურნეებისაგან შესყიდულ იქნა 15 სული მსხვილფეხა საქონელი. ხორცის საფასურად კოლმეურნეებისათვის ფულის გაცემის უწყისში ნაჩვენებია ორ-სამჯერ მეტი, ვიდრე კოლმეურნეებმა ფაქტიურად მიიღეს. ამ გზით მითვისებულია ათიათასობით მანეთი. დამახინჯებებია კოლმეურნეობის სურსათის სავაჭრო წერტში, რომელიც თბილისში არსებობს. აქ ხშირად დგება ყალბი აქტები პროდუქტების დიდძალი რაოდენობით ლპობასა და გაფუჭებაზე.

ამ დამახინჯებათა წინააღმდეგ ხშირად ხმას იმაღლებს კოლმეურნეობის სარევიზიო კომისია, მაგრამ მას გასაქანს არ აძლევენ. წელს ერთხელაც არ ჩატარებულა რევიზია. სარევიზიო კომისიამ სცადა მუშაობის დაწყება პირველი კვარტალის დასაწყისში, მაგრამ თავმჯდომარემ მას მუშაობის საშუალება არ მისცა. პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები გვერდს უვლიან კოლმეურნეობაში არსებულ ნაკლოვანებებს, ურიგდებიან დამახინჯებებს.

სართიჭალის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობაში არსებული დამახინჯებანი ადრევე იქნებოდა აღმოფხვრილი, პარტიის საგარეჯოს რაიკომს დროულად რომ მიექცია ყურადღება კოლმეურნეთა სიგნალებისათვის. ახლა, როდესაც კოლმეურნეთა სამართლიანი კრიტიკა რაიონის ფარგლებს გასცდა, საგარეჯოს რაიკომშიც დაფაცურდნენ, მაგრამ საკვირველია, დღემდე რატომ სდუმდნენ პარტიის რაიონული კომიტეტის მუშაკები, დღემდე რატომ ითმენდნენ საკოლმეურნეო წესდების ამ უხეშ დამახინჯებებს?

ელ. უბილავა
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის აღსანიშნავად

მოწინავე მაღაროები და მათი ადამიანები

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროელები თავდადებით შრომობენ, რათა მაღალი საწარმოო მაჩვენებლებით აღნიშნონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გახსნის დღე. განსაკუთრებით დაწინაურდნენ დიმიტროვისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროთა კოლექტივები. ეს მაღაროები პირველ კვარტალში ჩამორჩებოდნენ, მაგრამ საპირველმაისო შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ და თვიური დავალებანი 106-112 პროცენტით შეასრულეს, ამავე დროს საგრძნობი ფულადი ეკონომია გასწიეს.

აღნიშნულ მაღაროთა კოლექტივები წარმატებით მუშაობდნენ მაისშიც. დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივმა 27 მაისისათვის შეასრულა თვიური დავალება. შეწყობილად და მაღალნაყოფიერად მუშაობენ პირველი, მეორე და მეექვსე უბნები. აქ ერთიორად გაიზარდა სტახანოველთა რიცხვი. ცნობილი სტახანოველი კ. ლავთაძე სამმაგად ასრულებს დავალებას. თავდადებული შრომით გამოირჩევიან სტახანოველები ა. ნადირაძე, გ. იაკობიძე, ა. პილაძე, ნ. სამხარაძე, ა. იაკობიძე და სხვები, რომლებიც ცვლაში გეგმის გადამეტებით 10-15 ტონა მარგანეცს იღებენ.

შრომაში სამაგალითო მამაცობას იჩენენ კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს სტახანოველები. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჰ. ბოყოველი გამომუშავების დღიურ ნორმებს 200-250 პროცენტით ასრულებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის გახსნის აღსანიშნავად თავდადებით შრომობენ ლენინის, სტალინისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა კოლექტივებიც.

მებეტონეთა პირობა

რუსთავი. (საკ. კორ.). ბეტონის ცენტრალური კომბინატის საამქროებში ფართოდ გაიშალა შეჯიბრება ნახევარი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. არმატურის საამქროს ვ. ტალახაძის სტახანოვურმა ბრიგადამ იკისრა 12 ივნისისათვის შეასრულოს ექვსი თვის გეგმა. შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგებს აღწევენ ბრიგადის მოწინავე სტახანოველები ს. ფანჩულიძე და ვ. კაპანაძე. გ. ხუგაშვილის ბრიგადამ, რომელიც ქვის სამსხვრევი მანქანებით მუშაობს, იკისრა 10 პროცენტით გადააჭარბოს ნახევარი წლის დავალებას.

რკინა-ბეტონის მილების მკეთებელ საამქროს მოწინავე სტახანოველ გ. ჩარკვიანის ვალდებულებაა 150 პროცენტით შეასრულოს დღიური ნორმა და გააუმჯობესოს პროდუქციის ხარისხი.

ვაგონშემკეთებლები სტახანოვურ ვახტზე

რკინიგზელის საკავშირო სტალინური დღის აღსანიშნავი შეჯიბრების ინიციატორად თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანაში სატვირთო ვაგონების საამქროს კოლექტივი გამოვიდა.

საამქროში 24 მაისს სტახანოვურ ვახტზე პირველი დადგა ზეინკალთა ბრიგადა, რომელსაც ვ. მიხანაშვილი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ ნორმირებული 106,6 საათის სამუშაო 24 საათში შეასრულა. ზეინკლები ვ. მიხანაშვილი, ა. ანტონოვი და პ. პაპიძე დღიურ ნორმებს ოთხმაგად ასრულებენ.

ამ თაოსნობას მიბაძა და შრომის ნაყოფიერების მზარდი აღმავლობით უპასუხა ზეინკალთა გ. ელისაბედაშვილის ბრიგადამ. ზეინკლები 26 მაისს სტახანოვურ ვახტზე დადგნენ და საგრძნობლად გადააჭარბეს მიხანაშვილის ბრიგადის წარმატებებს. ბრიგადამ 99,5 საათის სამუშაო 19,5 საათში შეასრულა, დღიური გეგმა 510 პროცენტით გაანაღდა. ზეინკლებმა გ. ელისაბედაშვილმა, ვ. ანდრიაძემ და ს. შაქარაშვილმა ააწყეს 5 ოთხღერძიანი ვაგონის ურიკები.

ავტომუხრუჭებზე მომუშავე ზეინკალთა ბრიგადა ვ. ადამაშვილის ხელმძღვანელობით სტახანოვურ ვახტზე დადგა 24 მაისს და გეგმით გათვალისწინებული 52,5 საათის სამუშაო 8 საათში შეასრულა. ამ დღეს ბრიგადის დღიურმა გამომუშავებამ 656 პროცენტი შეადგინა. მექვაბეთა ი. ჩუპრინის ბრიგადამ, რომელიც ჩარჩოების შეკეთებაზე მუშაობს, მთელი თვის გეგმა 27 მაისს შეასრულა.

საამქროში შრომის ნაყოფიერებას adidებენ სამუშაო ადგილის წინასწარი მომზადებით, შრომის კარგი ორგანიზაციით. საამქროს ოსტატები ნ. კავთიაშვილი, დ. კუჭავა და სხვები სისტემატურად ამოწმებენ ვაგონების თვითეულ დეტალს, საჭირო მეთვალყურეობასა და კონტროლს უწევენ ყველა სამუშაო ობიექტს, სამუშაოს შესრულების ხარისხს.

სატვირთო ვაგონების საამქროს კოლექტივმა გადაწყვიტა რკინიგზელის სტალინური დღის აღსანიშნავად ყოველთვიურ საწარმოო გეგმას გადააჭარბოს 3 პროცენტით, შეამციროს თვითღირებულება 10 პროცენტით, ძველი მასალის (ხე-ტყე, თუნუქი, სხვადასხვა დეტალები) დაზოგვით თვეში გასწიოს 30.000 მანეთი ეკონომია, განახორციელოს რაციონალიზატორული წინადადებანი. საამქროს კოლექტივი ენერგიულად იბრძვის ამ ვალდებულებათა შესასრულებლად.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

სოხუმის თეატრის გასტროლები თბილისში. სურათზე: უ. შექსპირის კომედიის „აურზაური არაფრის გამო" მეოთხე მოქმედების ერთ-ერთი სცენა.

სოხუმის თეატრის ორი სპექტაკლი

დიდი ინტერესით შეხვდა თბილისელი მაყურებელი სოხუმის სახელმწიფო თეატრის გასტროლებს. ყოველდღე მაყურებლებით სავსეა მარჯანიშვილის სახელობის თეატრი, სადაც სოხუმელები უჩვენებენ თავიანთ დადგმებს.

გასტროლების პირველ დღეს სოხუმის თეატრმა მაყურებელს უჩვენა ილო მოსაშვილის პიესა — „ჩაძირული ქვები". ეს პიესა კარგადაა ცნობილი ჩვენი მაყურებლისათვის. „ჩაძირული ქვების" ღირსება ის არის, რომ იგი მაყურებელს ეხმარება გაერკვეს თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში. ზიარეთის პატარა ამბავში დრამატურგმა განზოგადების დიდი ძალით გვიჩვენა ამერიკელ იმპერიალისტთა დამოკიდებულება სხვა ერების კულტურისადმი, ომის გამჩაღებელთა ყაჩაღური და მტაცებლური ბუნება.

სოხუმის თეატრმა პიესა საუცხოოდ განახორციელა. დამდგმელებს — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ს. ჭელიძეს და გიორგი ვასაძეს შეუქმნიათ მხატვრულად მთლიანი, პიესის შინაარსის შესაბამისი, მოფიქრებული სპექტაკლი.

სპექტაკლში პირველი სცენიდანვე მაყურებლის ყურადღება დაიმსახურა ს. ყანჩელმა (გაიანე). აღსანიშნავია მისი სადა, ბუნებრივი თამაში. ვილათის უფროსის აბდულ სადიყის როლი კარგად აქვს მოფიქრებული მსახიობ ი. ჯაშს. აბდულ სადიყი გაიძვერა, უხერხემლო ადამიანია, ევროპულ ტანისამოსში გამოწყობილი თურქი წურბელაა, რომელიც რამდენადაც ქედმოხრილია ამერიკელის წინაშე, იმდენად ვერაგია დამონებული ქართველების მიმართ. ა. მაგრაქველიძის ჯონ რაიტი სწორად გამოხატავს ამერიკელი კოლონიზატორის ბუნებას. ჯამილის საინტერესო სახე შექმნა მსახიობმა ბ. ზაქარიაძემ. დამაჯერებლად განასახიერა მსახიობმა ზ. ლაფერაძემ შუქრის როლი. აღსანიშნავია მსახიობ ტ. ხორავას მიერ მირზას როლის სწორად გაგება. მსახიობი ზომიერების ტაქტის დაცვით, როლის ბუნებრივად და უშუალოდ გახსნის საფუძველზე ქმნის მონობაში გადაგვარებული ადამიანის რთულ სახეს. მსახიობ ნ. მიქამაძეს ძალდაუტანებლად აქვს ბეგან-აღას რთული როლი.

სპექტაკლის წარმატებას ხელს უწყობდნენ ფ. შედანია (ფატმა), ვ. ნეფარიძე (რუსუდანი), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. გაგნიძე (საიდუმლო პოლიციის უფროსი), ა. რამიშვილი (ხოჯა სულეიმანი), ე. საყვარელიძე (მომღერალი ქალი), თ. ოქროპირიძე (შუქრის დედა), თ. მელაძე (ბარის დიასახლისი), ს. კალანდაძე, ა. ბოკუჩავა, გ. რევაზიშვილი (მეზღვაურები), დ. ბალათურია, გ. ხუციძე (ამერიკელი მეზღვაურები).

კარგია ფ. ლაპიაშვილის მხატვრობა და კომპოზიტორ დ. თორაძის მუსიკა.

„ჩაძირული ქვები" სოხუმის თეატრის მაღალიდეური და მხატვრულად გამართული პატრიოტული სპექტაკლია.

მეორე სპექტაკლი, რომელიც სოხუმის თეატრმა უჩვენა თბილისელ მაყურებელს, იყო უ. შექსპირის კომედია „აურზაური არაფრის გამო". აღსანიშნავია, რომ შექსპირის ეს ნაწარმოები პირველად იდგმება ქართულ სცენაზე. ამითაც აიხსნება ის ცხოველი ინტერესი, რომლითაც მაყურებელი შეხვდა მას.

სპექტაკლის დამდგმელს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ს. ჭელიძეს მუდამ ახასიათებს მისწრაფება — შექმნას სცენაზე საზეიმო, თეატრალური სანახაობა. ამ სპექტაკლში მხატვარ ნ. ყაზბეგთან ერთად იგი შეეცადა კომედიისათვის შესაფერი მსუბუქი და ეფექტიანი ხერხებით გადმოეცა ნაწარმოების სულისკვეთება. მხატვრის მიერ შექმნილი მუდმივი დეკორაციული კომპოზიცია, რომელსაც იგი მთელი სპექტაკლის მსვლელობისას გონებამახვილურად იყენებს, კომედიური მოქმედებისათვის საჭირო დინამიკური განვითარების შესაძლებლობას ქმნის. უსათუოდ აღსანიშნავია რეჟისორის მიერ მსახიობებთან გაწეული დიდი მუშაობა, რაც მჟღავნდება შემსრულებელთა ანსამბლურობით.

სპექტაკლის შემსრულებელთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავი არიან მსახიობები ი. დონაური და ბ. ზაქარიაძე, რომელთა ხალისიანი თამაში მაყურებელთა ერთსულოვან მოწონებას იმსახურებს. ი. დონაურის თაინება, ენამახვილი ბეატრიჩეს ღირსეული პარტნიორია ბ. ზაქარიაძის ჭირვეული, სიცოცხლით სავსე და მხიარული ბენედიქტი.

ვერ დავეთანხმებით დამდგმელს არაგონის პრინცის დონ პედროს სახის ზედმეტ გაუბრალოებაში, რაც რამდენადმე აჩენს მიმზიდველი მსახიობის —რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის მ. ჩუბინიძის თამაშის ეფექტს.

აღსანიშნავი არიან ს. გამრეკელი (დონ ჟუანი), ა. მაგრაქველიძე (კლავდიო), ნ. ყიფიანი (ჰერო), რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. გაგნიძე (ლეონატო), ვ. ნეფარიძე და ო. კანდელაკი (ჰეროს სეფე ქალები), აგრეთვე ს. კალანდაძე, ა. ბოკუჩავა და სხვები, რომელთა დაკვირვებული თამაში ხელს უწყობს სპექტაკლის საერთო წარმატებას.

რაც შეეხება ქალაქის მცველების (შინდის და გურზის) როლების შემსრულებელთ, მათ, ჩვენი აზრით, ახასიათებთ გროტესკისადმი ზედმეტი მისწრაფება, რაც ანსამბლის საერთო სტილს არ ეთანხმება.

კარგია ი. სლონოვის მხიარული და მელოდიური მუსიკა, რომელიც შესაფერ ფონს უქმნის მოქმედებას. აქვე უნდა ითქვას, რომ ლ. წერეთლის მიერ დადგმული ცეკვები ოდნავ გაჭიანურებული და ერთფეროვანია.

წარმატებით დაიწყო სოხუმის თეატრის გასტროლები. ეჭვი არ არის, თეატრის მომავალი საგასტროლო დადგმებიც აუდიტორიის მოწონებისა და სიყვარულის საგანი გახდება.

ბ. თათარიშვილი

პრესის მიმოხილვა

აგრონომიული ცოდნის პროპაგანდა

საკოლმეურნეო სოფელი ფართოდ იყენებს მოწინავე ტექნიკას, აგრობიოლოგიურ მეცნიერებას და ყოველწლიურად ადიდებს ჩაის, ციტრუსების, თუთუნის, მარცვლეულის მოსავლიანობას, მეცხოველეობის პროდუქტიულობას. განუწყვეტლივ იზრდება სოფლის მეურნეობის მოწინავეთა რიგები.

სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლა დიდ ამოცანებს აკისრებს რაიონულ პრესას. ამ ამოცანების შესრულებისათვის ნაყოფიერად მუშაობს ცხაკაიას რაიონული გაზეთი „ავანგარდი" (რედაქტორი ამხ. ვ. წირღვავა).

გაზეთი სისტემატურად იბრძვის კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის, ამხილებს არტელის სტალინური წესდების დარღვევის ფაქტებს. ეხმარება რაიონულ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს ნაკლოვანებათა გამოსწორებაში. „ავანგარდი" ხშირად ბეჭდავს აგრონომების, ვეტექიმების და სხვა სპეციალისტების რჩევა-დარიგებას. გაზეთმა კარგი საქმე გააკეთა, რომ გამოაქვეყნა ცხაკაიას სარაიონთაშორისო ვეტერინარული ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის გამგის მ. სხილაძის სტატია „კანის ბორა და ბრძოლა მის წინააღმდეგ". წერილში კარგად არის გაშუქებული ამ მავნებლის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებანი.

გაზეთი ბეჭდავს წერილებს აგროტექნიკურ და ზოოტექნიკურ სწავლებაზე, მეჩაიე ბრიგადირების, მერგოლურების, კოლმეურნეების საწარმოო ცოდნისა და გამოცდილების ამაღლებაზე.

უკანასკნელი თვეების (აპრილისა და მაისის) განმავლობაში „ავანგარდში" გამოქვეყნებული მასალებიდან ყურადღებას იქცევენ წერილები: რაისაბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგის ამხ. მ. საბახტარიშვილისა — „მტკიცედ დავიცვათ ღომის (ჩუმიძის) თესვის და ნათესების მოვლის აგროტექნიკური წესები", ამავე განყოფილების აგრონომის ამხ. მ. მიმინოშვილისა—„ნიტრაგინი და მისი მნიშვნელობა მოსავლიანობის გადიდების საქმეში", აგრონომ მ. ბახტაძისა—„ჩაის ფოთლის კრეფა". სავსებით მართებულად აღნიშნავს წერილის ავტორი ამხ. ბახტაძე, რომ

> „ბრძოლა მოსავლის გადიდებისათვის პლანტაციის გაშენებისთანავე იწყება. მცენარის დამატებითი კვება, განოყიერება იწვევს ყლორტების ენერგიულ, აჩქარებულ ზრდას; ნიადაგის დროული დამუშავება სარეველებს სპობს, სინესტეს ინახავს. სიცდელი ნაკვეთების ხუთჯერ გათოხნამ ერთი მესამედით გაზარდა მოსავლიანობა".

ზემოთ დასახელებული წერილები იმის ნიმუშს წარმოადგენენ, თუ როგორ უნდა იწერებოდეს აგრონომიული რჩევა-დარიგება. მათში მოკლედ და გასაგებად მოთხრობილია ყოველივე, რასაც შეუძლია დახმარება გაუწიოს არა მარტო თვითეულ კოლმეურნესა და საბჭოთა მეურნეობის მუშას, არამედ აგროტექნიკურ პერსონალსაც.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით „ავანგარდში" დაბეჭდილ ყველა წერილზე. ზოგჯერ გაზეთი დაუკვირვებლობასაც იჩენს. 11 მაისის ნომერში დაბეჭდილ წერილში „სიმინდის უხვი მოსავლისათვის" (ავტორი აგრონომი ს. ე-ძე) ვკითხულობთ:

> „გამოსაკვებად გამოყენებული უნდა იქნას როგორც ადგილობრივი ორგანული სასუქები: გადამწვარი ნაკელი, ნაცარი (?), ფრინველის ნაკელი, ტორფი, ნაკელის წუნწუხი და სხვ., ისე მინერალური სასუქები: სულფატამონიუმი..., სუპერფოსფატი..., წუნწუხი (?) და სხვ.".

წერილის ავტორმა და რედაქციის მუშაკებმა უნდა იცოდნენ, რომ ნაცარი ორგანული სასუქი არ არის და არც წუნწუხია მინერალური სასუქი. გაუმართლებელია აგრეთვე, რომ ავტორი გვირჩევს ფოსფოროვანი სასუქი ნიადაგში მეორე თოხნის დროს შევიტანოთ. წერილში არაფერია ნათქვამი, თუ გამოხშირვისას რა მანძილი დავიცვათ მცენარეთა შორის, როგორ მოვაწყოთ სიმინდის ხელოვნური დამტვერიანება და სხვ.

გაზეთ „ავანგარდის" რედაქციამ მეტი დაკვირვებით და ყურადღებით უნდა მოეკიდოს აგრონომიული ცოდნის პროპაგანდას.

შრომითი რეზერვების მოსწავლეთა მე-8 რესპუბლიკური დათვალიერება

ამას წინათ ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარდა შრომითი რეზერვების სკოლების და სახელოსნო სასწავლებლების მოსწავლეთა თვითმოქმედების მე-8 რესპუბლიკური დათვალიერება და მათი ნამუშევრების გამოფენა.

თვითმოქმედების დათვალიერებაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ბორჯომის, ქლუხორის და სხვა სახელოსნო სასწავლებლების მოსწავლე მომღერალთა გუნდებმა. მონაწილეობდა შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს კულტურის ცენტრალური სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლიც.

მაყურებელთა მოწონება და მაღალი შეფასება დაიმსახურეს თბილისის მე-5 სპეციალური სასწავლებლის აღსაზრდელებმა, რომლებმაც შეასრულეს ქართული და რუსული სიმღერები, თბილისის მე-15 სახელოსნო სასწავლებლის მომღერალთა გუნდმა, ქლუხორის მე-16 სპეციალური სასწავლებლის მომღერალთა გუნდმა, შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველოს კულტურის ცენტრალური სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა (ხელმძღვანელი ა. ურუშაძე). უნდა ითქვას, რომ სასწავლებლები წელს გაცილებით მომზადებული გამოვიდნენ, ვიდრე გასულ წელს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ზოგიერთ სასწავლებელს არ მიუღია მონაწილეობა დათვალიერებაში.

პარკში მოწყობილი იყო აგრეთვე შრომითი რეზერვების სკოლების მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.

თბილისის მე-15 სახელოსნო სასწავლებლის მიერ წარმოდგენილი ნიმუშები მნახველს აცნობენ, თუ როგორ არიან ამ სასწავლებლის მოსწავლეები დაუფლებული ლითონის ჩქარი ჭრის მეთოდს. ასევე საინტერესოა რკინიგზის თბილისის მე-2 სასწავლებლის მოსწავლეების მიერ დამზადებული საბჭოთა ორთქლმავლების, სხვადასხვა ტიპის დაზგების, ხელსაწყო-იარაღების მაკეტები და ექსპონატები.

ფართოვდება და ძლიერდება მშვიდობის ფრონტი

100-ათასიანი მიტინგი რომში

რომი, 3 ივნისი. (საკდესი). გუშინ, 2 ივნისს 100 ათასი კაცი შეიკრიბა ლატერის მოედანზე რომში, სადაც გაიმართა მიტინგი იტალიის რესპუბლიკის დაარსების ოთხი წლისთავის და ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის სტოკჰოლმის სესიის მოწოდებაზე ხელმოწერის შეგროვების საყოველთაო-სახალხო კამპანიის დაწყების გამო.

რომის მოქალაქეთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ტოლიატიმ, რომელსაც მქუხარე ოვაციით შეხვდნენ. მან მოუწოდა იტალიელ ხალხს — მხარი დაუჭიროს სტოკჰოლმის მოწოდებას და რწმენა გამოთქვა, რომ მილიონობით მშვიდობის მომხრე, რომლებმაც ხმა აღიმაღლეს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, შეძლებს იმას, რომ კაცობრიობაში გამოცხადებულ იქნას ატომური იარაღი, რომელიც დღემდე იმპერიალისტთა ხელში ხალხთა დაშინების მთავარ საშუალებას წარმოადგენდა.

მიტინგის დასაწყისში სიტყვა წარმოთქვა დეპუტატთა პალატის ვიცე-თავმჯდომარემ სოციალისტმა ტარჯეტიმ.

მიტინგი დამთავრდა ჩირაღდნებიანი სვლით.

რუმინეთის 10 მილიონმა მოქალაქემ მოაწერა ხელი სტოკჰოლმის მოწოდებას

ბუქარესტი, 3 ივნისი. (საკდესი). რუმინეთში მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის მოწოდებას 2 ივნისისათვის ხელი მოაწერა 10 მილიონმა კაცმა.

შეიქმნა მშვიდობის დაცვის მსოფლიო ფონდი

პარიზი, 4 ივნისი. (საკდესი). როგორც გაზეთები იუწყებიან, მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის ბიურომ თავის ლონდონის სესიაზე, რომელიც ამა წლის 1 ივნისს დამთავრდა, მიიღო მთელი რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი.

ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მშვიდობის დასაცავად მსოფლიო ფონდის შექმნის შესახებ. ამ მიზნით ბიურომ დაადგინა საერთაშორისო მასშტაბით გაჩაღოს ხელმოწერის კამპანია სახსრების შესაგროვებლად.

პარიზში გაიმართა მასობრივი მანიფესტაცია ბავშვებისა და მშვიდობის დასაცავად

პარიზი, 4 ივნისი. (საკდესი). დღეს პარიზში „ბუფალოს“ სტადიონზე გაიმართა მასობრივი მანიფესტაცია ბავშვებისა და მშვიდობის დასაცავად, ატომური იარაღის აბსოლუტურად აკრძალვის შესახებ მოწოდებაზე ხელმოსაწერად.

სტადიონის ტრიბუნები, სადაც 25 ათასამდე კაცი ეტევა, მთლად გაჭედილი იყო. ათეულ ათასობით პარიზელი შეიკრიბა რეპროდუქტორებთან სტადიონის გარშემო მინდორში.

ტრიბუნაზე იყვნენ: ფრანგ ქალთა კავშირის, საფრანგეთის რესპუბლიკელი ახალგაზრდობის კავშირის, „მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა“ ორგანიზაციის, დემოკრატ ქალთა საერთაშორისო ფედერაციის, დემოკრატი ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის, საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბევრი სხვა დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენლები.

გაიმართა 50 ათასზე მეტი ბავშვის სვლა, რამაც 3 საათამდე გასტანა. ბავშვებმა ტრიბუნებს ჩაუარეს ოლმებითა და პლაკატებით, რომლებზეც ეწერა: „ჩვენ გვსურს სიცოცხლე! ჩვენ გვსურს მშვიდობა! ჩვენ გვინდა პური! მამებო და დედებო, დაგვიცავით ატომური ბომბისაგან!“, „ჩვენ გვსურს სწავლა, მაგრამ სახსრებს გვართმევენ და სამხედრო საჭიროებისათვის იყენებენ“ და სხვ.

სვლის დამთავრების შემდეგ ბავშვებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა დემოკრატ ქალთა საერთაშორისო ფედერაციის წარმომადგენელმა ეჟენი კოტონმა. შემდეგ გამოქვეყნდა „მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლთა“ ორგანიზაციის მოწოდება ბავშვებისადმი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის წარმატება

შანხაი, 4 ივნისი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, მას შემდეგ, რაც ქალაქ დონგ-ხე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარებმა გაათავისუფლეს, ტატ-კეს მიმართულებით უკანდახეული ფრანგთა ჯარების ნაშთებს დაედევნა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის არმია და თითქმის მთლად მოსპო იხინი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარებმა გაანადგურეს აგრეთვე ფრანგთა პოზიციები პაკ-ხაუსა და პია-კოასთან, დონგ-ხედან ერთ კილომეტრ მანძილზე.

29 მაისს დილით ფრანგთა თვითმფრინავებმა პარაშუტისტთა დესანტი ჩამოსხეს დონგ-ხესთან. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარებმა დაუყოვნებლივ გაუმართეს მას ბრძოლა და დახოცეს 130 ფრანგი. 28 მაისს ფრანგების ბატალიონზე, რომელიც ლანგ-სონიდან დასახმარებლად მიდიოდა დონგ-ხეში, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ნაწილებმა იერიში მიიტანეს და დიდი ზარალი მიაყენეს მას.

სხვადასხვა ოპერაციების და მათ შორის ქალაქ დონგ-ხეზე იერიშის შედეგად ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარებმა ხელთ იგდეს 6 ქვემეხი, მათ შორის ოთხი ამერიკული ქვემეხი, რომელთაც კიდევ ჰქონდათ გომინდანელთა ჯარების განმასხვავებელი ნიშნები, მრავალი ტყვიამფრქვევი, ნაღმსატყორცნი და შაშხანა, 100 ტონა საომარი მასალა, 10 სატვირთო მანქანა, სურსათისა და გაზოლინის საწყობები. ტყვედ წამოყვანილია გომინდანელთა არმიის 40 ჯარისკაცი და 5 ოფიცერი.

პარიზი, 4 ივნისი. (საკდესი). გაზეთი „სე-სუარი“ იუწყება, რომ 1 ივნისს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ერთ-ერთმა რაზმმა იერიში მიიტანა საფრანგეთის საექსპედიციო კორპუსის სატვირთო მანქანების კოლონაზე დალატსა და საიგონს შუა ამ უკანასკნელიდან 150 კილომეტრზე დაიწვა ფრანგების სამი სამხედრო სატვირთო მანქანა.

ჟოლიო-კიურის დასაცავად

ჩვენ, საბჭოთა მეცნიერები — მედიცინის მუშაკები, გულისწყრომას გამოვთქვამთ და სხვებთან ერთად პროტესტს ვაცხადებთ ფრანგ ხელისუფალთა მიერ პროფესორ ფრედერიკ ჟოლიო-კიურის დევნის წინააღმდეგ. ამ მეცნიერის მიმართ აღმაშფოთებელი უსამართლობის წინააღმდეგ, რომელიც ფართოდ არის ცნობილი თავისი შესანიშნავი დამსახურებით მეცნიერების დარგში და რომელმაც ატომგულის ფიზიკის შესწავლის ახალი გზა გაიკვლია.

გამოჩენილი მეცნიერისათვის კვლევითი მუშაობის შესაძლებლობის წართმევა მეცნიერების იმ დარგში, რომელიც მისი უშუალო და ულრესად ნაყოფიერი მონაწილეობით წარმოიშვა, მთელი მოწინავე მეცნიერების შეურაცხყოფაა.

ჟოლიო-კიურის თავის სამშობლოში იმიტომ დევნიან, რომ ის იბრძვის ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ. ჟოლიო-კიურიმ თავისი წინადადებით იმის შესახებ, რომ ატომის ენერგია გამოყენებულ იქნას მშვიდობის მიზნებისათვის, და არა მშვიდობიანი მოსახლეობის მასობრივი მოსპობისათვის, დიდი პატივისცემა და პოპულარობა მოიპოვა საბჭოთა კავშირის მშრომელთა შორის.

ჟოლიო-კიურის გადაყენება ატომის ენერგიის უმაღლესი კომისრის თანამდებობიდან მთელი სიცხადით მოწმობს, რომ საფრანგეთის მთავრობა გარედან ზეგავლენით ახალი ომისათვის მზადების გზას დაადგა.

ჩვენ, ისე როგორც ყველა საბჭოთა მეცნიერი, გამოვხატავთ ულრმეს პატივისცემას თავისუფლებისმოყვარე საფრანგეთის შესანიშნავი შვილისადმი და მხურვალე სალამს ვუძღვნით მეცნიერების თავდადებულ მოღვაწეს, მშვიდობისათვის ნაცადს მებრძოლს ფრედერიკ ჟოლიო-კიურის.

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი
ნ. ნ. ანიჩკოვი

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
ი. პ. რაზენკოვი

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
ი. ვ. დავიდოვსკი

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი
პ. ა. კუპრიანოვი

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი
ს. ა. სარქისოვი

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური მედიცინის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი **ა. ლ. მიასნიკოვი**

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის მედიცინისა და ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი **ს. ე. სევერინი**

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ჰიგიენის, მიკრობიოლოგიის და ეპიდემიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი **ფ. გ. კროტკოვი**

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი, აკადემიკოსი **ა. ი. აბრიკოსოვი**

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი
ნ. ი. ოზერეცკი

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი
პ. კ. ანოხინი

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი
გ. ნ. სპერანსკი

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი **მ. ს. ვოვსი**

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი
ბ. ვ. ოგნევი

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი
ნ. ვ. კონოვალოვი

მოჭადრაკეთა მეზი-ფინალი

2 ივნისს გათამაშდა მე-10 ტური. ...ა. ბუსლაევმა ... ლ. ... პოზიცია ... თავის ... თამაშით პარტია თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. საინტერესო ბრძოლის შემდეგ გიორგაძემ მოუგო გაგუას. ელივიცკის პარტია სოროკინთან გადაიდო ელივიცკისათვის მოგებულ პოზიციაში. ყაიმით დამთავრდა ქარსელაძის შეხვედრა ოსტატ ბანიკთან.

სუსტად თამაშობს თბილისის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე ოსტატობის კანდიდატი შიშოვი. მას გერშკოვიჩთან გადადებულ პარტიაში უიმედო მდგომარეობა აქვს.

3 ივნისს დამთავრდა გადადებული პარტიები. გამარჯვებლად დანებდნენ ბუსლაევი სოროკინს და გერშკოვიჩი ბუსლაევს. შიშოვმა წააგო ბუსლაევთან და გერშკოვიჩთან, ელივიცკიმ მოუგო სოროკინს, გიორგაძე-ბუსლაევის პარტია ყაიმით დამთავრდა.

ცამეტი ტურის შემდეგ მდგომარეობა ასეთია: ელივიცკი — 10½ ქულა, ბანიკი და ბუსლაევი — 9 ქულა თვითეულს, სოროკინი — 7½ ქულა, ქარსელაძე — 7, გიორგაძე — 6½, გერშკოვიჩი—5, შიშოვი—4, ბლაღიძე — 3½ და გაგუა — 3.

ფეხბურთი

კვირას, 4 ივნისს, თბილისის ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონზე ფეხბურთში სსრ კავშირის 1950 წლის პირველობის გათამაშების კალენდარულ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ კიევის „დინამოსა“ და თბილისის „სპარტაკის“ გუნდები.

თამაში სწრაფი ტემპით დაიწყო. დაძაბული და საინტერესო ბრძოლა ბოლომდე არ შეწყვეტილა. 21-ე წუთზე ბერეჟნოიმ კარგად გამოიყენა მარჯვენა ფრთიდან გაგნიძის მიერ მიწოდებული ბურთი და ზუსტი დარტყმით გაახვია სტუმრების კარის ბადეში. მალე კიეველებმა საჯარიმო დარტყმით გაათანაბრეს ანგარიში. პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ — 1:1. მატჩის მეორე ნახევარში უპირატესობა თბილისელთა მხარეზე იყო. ერთ-ერთი იერიშის დროს ა. პაიჭაძე მარცხენა ფრთიდან გაუსხლტა დინამოელთა მცველებს და ბურთი კიეველთა კართან მიაწოდა გაგნიძეს, რომელმაც მეორე ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში. მატჩი მოიგო თბილისის „სპარტაკმა“ ანგარიშით 2:1.

გუშინ, 5 ივნისს ამავე სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ლოკომოტივის“ გუნდები. დინამოელები ამ დღეს რამდენადმე შეცვლილი შემადგენლობით გამოვიდნენ მოედანზე. თავდასხმის ცენტრად ნაცვლად ბორის პაიჭაძისა თამაშობდა ა. ლოლომეძიძე, ხოლო მარცხენა დამცველის ადგილზე სარჯველაძე შეცვალა რუსაძემ. პირველ ტაიმში ინიციატივა ხელიდან ხელში გადადიოდა. ანგარიში გახსნეს მოსკოველებმა. ერთ-ერთი იერიშის დროს ტაიმის ბოლოს ჯოჯუამ მოულოდნელად გაგზავნა ბურთი ლოკომოტიველთა კარში. მეკარე გრაჩევმა ბურთი მოიგერია, მაგრამ ხელიდან გაუსხლტა და ახლო მდგომმა თოდრიამ საპასუხო გოლი გაიტანა მოსკოველთა კარში.

მეორე ტაიმში მახარაძის ნაცვლად გამოვიდა ანთაძე, რომელმაც ერთგვარი გაცხოველება შეიტანა თბილისის თავდამსხმელთა თამაშში. ტაიმის დასაწყისშივე ანთაძემ ანგარიში გაადიდა. მოსკოველები საპასუხო იერიშზე გადავიდნენ. ისინი დიდხანს უტევდნენ თბილისელთა კარს, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგ ინიციატივა კვლავ თბილისელთა ხელში გადავიდა. ანთაძის მიერ მიწოდებული ბურთის გატანით ვარდიმიძემ მესამედ შეარხია სტუმრების კარის ბადე. დინამოელებმა კიდევ გაიტანეს ორი ბურთი სტუმრების კარში. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 5:1 თბილისის „დინამოს“ სასარგებლოდ.

ა. გოგოლაშვილი

მშვიდობის ძალების მიერ მოპოვებული გამარჯვება

საფრანგეთის სასამართლომ გაამართლა ყოველკვირეულ გაზეთ „ავანგარდის“ დირექტორი

პარიზი, 3 ივნისი. (საკდესი). გუშინ პარიზის სასამართლომ გამართლების განაჩენი გამოიტანა ახალგაზრდობის ყოველკვირეულ გაზეთ „ავანგარდისა“ და მისი დირექტორის ლეო ფიგერის საქმის გამო, რომლებიც ყოფილი სამხედრო მინისტრის რამადიეს მოთხოვნით პასუხისგებაში ხვენენ მიცემულნი იმისათვის, რომ 1948 წლის ოქტომბერში გამოაქვეყნეს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს ცნობილი განცხადება, რომ ფრანგი ხალხი არასოდეს არ იომებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გაზეთი „ავანგარდი“ მაშინ საფრანგეთის ახალგაზრდობის სახელით წერდა:

„ჩვენ არასოდეს არ ვიომებთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.

გარდა ამისა, გაზეთში გამოქვეყნდა მე-17 პოლკის ჯარისკაცთა სიმღერის ტექსტის ნაწილი.

რამადიემ გაზეთ „ავანგარდს“ ბრალად დასდო „არმიისა და ერის დემორალიზაცია“.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, საფრანგეთის ახალგაზრდობამ ენერგიული პროტესტი განაცხადა გაზეთ „ავანგარდის“ და მისი დირექტორის ლეო ფიგერის სასამართლო დევნის წინააღმდეგ.

სასამართლოს პირველი სხდომის დროს, რომელიც გასულ კვირას გაიმართა, პარიზის ახალგაზრდობა, პოლიციის მკაცრი რეპრესიების მიუხედავად, მივიდა სასამართლოს შენობასთან და პროტესტი განაცხადა გაზეთისა და მისი ხელმძღვანელის გასამართლების წინააღმდეგ.

სასამართლოს შენობასთან მაშინ 150 ახალგაზრდა დემონსტრანტი დააპატიმრეს. სასამართლო იძულებული იყო ერთი კვირით გადაედო განაჩენის გამოტანა.

გუშინ გაზეთის ადვოკატებისა და ლეო ფიგერის ადვოკატის გამოსვლის შემდეგ სასამართლომ გამართლების განაჩენი გამოიტანა.

სასამართლომ, კერძოდ, აღიარა, რომ „საქმე ეხება პოლიტიკურ საკითხს... და რომ ასეთი იდეოლოგია დემორალიზაცია არ არის, რადგან, სსრ კავშირმა საფრანგეთთან კავშირის პაქტი დადო...“

სასამართლომ აგრეთვე აღნიშნა, რომ „გაზეთ „ავანგარდის“ მიერ მე-17 პოლკის ჯარისკაცთა სიმღერის ტექსტის ნაწილის გამოქვეყნება პროვოკაცია არ არის“.

ამ განაჩენის თაობაზე გაზეთი „ლუმანიტე“ წერს:

„ეს განაჩენი ჩვენს ქვეყანაში მშვიდობის ძალების მიერ მოპოვებული გამარჯვებაა. მთავრობა სასამართლო პროცესის სულ სხვა შედეგს მოელოდა. მას სურდა გამოეყენებინა განაჩენი, რომელიც დაგმობდა გაზეთ „ავანგარდს“, რათა დაეწყო დევნა სხვა გაზეთების წინააღმდეგ, რომლებიც გამოხატავენ ფრანგი ხალხის სურვილს — არასოდეს არ იომოს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, აგრეთვე რათა დაეწყო დევნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წინააღმდეგ, რომელმაც პირველმა გააკეთა ეს განცხადება.

გაზეთ „ავანგარდისა“ და მისი დირექტორის გამართლება იმას მოწმობს, რომ მთავრობამ, რომელმაც გაბედა დაეწყო მშვიდობისათვის ერთ-ერთი მებრძოლის დევნა, თავი გამოააშკარავა, როგორც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომის მომამზადებელმა მთავრობამ.

სასამართლომ, რომელმაც ლეო ფიგერი გაამართლა, მოაგონა მთავრობას, რომ ამ უკანასკნელს სურს დაარღვიოს საფრანგეთსა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული კავშირი, რომელიც ხელმოწერილია ფრანგი ხალხის სახელით“.

იაპონიის პარლამენტის ზედა პალატის არჩევნები

შანხაი, 4 ივნისი. (საკდესი). ტოკიოდან მიღებული ცნობებით, დღეს იაპონიაში მოხდა იაპონიის პარლამენტის მრჩეველთა პალატის (ზედა პალატის) არჩევნები. ასარჩევი იყო პალატის 132 დეპუტატი (სულ ზედა პალატაში 250 დეპუტატია).

ახლანდელი არჩევნები მიმდინარეობდა ერთი მხრივ ამერიკა-იაპონიის ბლოკისა და მეორე მხრივ იაპონიის დემოკრატიული ელემენტების ბრძოლის მეტად გამწვავებულ პირობებში. ამერიკელი იმპერიალისტები ჩქარი ტემპით ახორციელებენ იაპონიის რემილიტარიზაციას, იაპონიას კუნძულებს აქცევენ საბჭოთა კავშირისა და აზიის ქვეყნებში დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ სამხედრო ავანტიურების ძირითად ბაზად. იაპონიის რეაქციის — ხელისუფლების სათავეში მდგომი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის — დახმარებით ომის ამერიკელი გამჩაღებლები ცდილობენ ჩაახშონ დემოკრატიული მოძრაობა იაპონიაში.

ამერიკა-იაპონიის რეაქციის ამ გეგმების წინააღმდეგ გამოდიან იაპონელი ხალხის ფართო მასები. დემოკრატიულმა ფრონტმა, რომელსაც იაპონიის კომპარტია მეთაურობს, თავის წინასაარჩევნო ლოზუნგებში წამოაყენა მოთხოვნები: უსწრაფესად დაიდოს ყოველმხრივი სამშვიდობო ხელშეკრულება და გაყვანილ იქნან საოკუპაციო ჯარები იაპონიის სუვერენიტეტის სრული აღდგენისთანავე, აიკრძალოს სამხედრო ბაზების მშენებლობა იაპონიის ტერიტორიაზე, შეუზღუდავად განვითარდეს მრეწველობის სამშვიდობო დარგები, ხალხს მიეცეს დემოკრატიული თავისუფლებანი, მჭიდრო თანამშრომლობა დამყარდეს მშვიდობისმოყვარე ძალებთან მთელ მსოფლიოში.

მაკარტურის შტაბმა და იაპონიის მთავრობამ ყოველი ღონე იხმარეს, რომ ხელი შეეშალათ დემოკრატიული პარტიების წინასაარჩევნო ბრძოლისათვის, რისთვისაც რეპრესიებს მიმართეს. პროვოკაციები, დაპატიმრება, ცილისწამება, მუქარა — ყოველივე ეს გამოიყენეს ამერიკელმა ხელისუფლებმა იაპონიაში და მათმა იაპონელმა მარიონეტებმა დემოკრატიული ორგანიზაციების წინააღმდეგ, პირველ რიგში კომპარტიის წინააღმდეგ. არჩევნების დღეს იაპონიის ყველა კუთხეში პოლიციის ძალები საბრძოლველად გამზადეს. ტოკიოში მობილიზებულ იქნა 25 ათასი პოლიციელი. მარტო გუშინ დააპატიმრეს 24 კომუნისტი.

როგორც უცხოელი მეთვალყურენი აღნიშნავენ, ტოკიოსა და სხვა ქალაქებში ამომრჩევლები სუსტად მონაწილეობდნენ არჩევნებში.

საბჭოთა მუსიკოსების ახალი ტრიუმფი

პრაღა, 5 ივნისი. (საკდესი). პრაღაში დამთავრდა ქემანიან საკრავთა კვარტეტების საერთაშორისო კონკურსი.

კონკურსში მონაწილეობას იღებდა 7 კვარტეტი — 2 საბჭოთა კავშირისა, 3 ჩეხოსლოვაკიისა და 2 უნგრეთისა. პირველი ადგილი ერთსულოვნად მიეკუთვნა საბჭოთა კავშირის — მოსკოვის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო კონსერვატორიის ასპირანტ ქალთა კვარტეტს, რომელშიც შედიან ო. კაველინევა, გ. მატროსოვა, ვ. კარპოვა და ტ. პრიიმენკო.

მეორე პრემია გაიყო საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სახელმწიფო კვარტეტმა და პრაღის სმეტანას სახელობის კვარტეტმა.

საპატიო დიპლომით დაჯილდოვებულ იქნა უნგრეთის ერთ-ერთი კვარტეტი.

სირიის მთავრობის შემადგენლობა

პარიზი, 5 ივნისი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი დამასკოდან იუწყება, რომ ჩამოყალიბდა სირიის ახალი მთავრობა, რომელშიც შედიან სახალხო პარტიის 5 წევრი და სამი დამოუკიდებელი.

პრემიერ-მინისტრად და საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა ნაზიმ კუდსი.

ამერიკის კარნახით

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს კომუნიკე

პარიზი, 3 ივნისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო გადმოგვცემს, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დღეს გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის, ბელგიის, იტალიის, ლუქსემბურგისა და ჰოლანდიის მთავრობებმა გადაწყვიტეს დაიწყონ მოლაპარაკება „თავიანთი ქვანახშირისა და ფოლადის რესურსების გაერთიანების შესახებ“.

მოლაპარაკების ბაზად კომუნიკე ასახელებს საფრანგეთის 9 მაისის წინადადებას „ქვანახშირისა და ფოლადის კარტელის შექმნის“ შესახებ.

შემდეგ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ინგლისის მთავრობამ შესაძლებლად ვერ მიიჩნია მამხრობოდა აღნიშნულ ექვს მთავრობას.

პასუხისმგებელი რედაქტორი
გ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

7 ივნისს

7.20 — გადაცემა გლეხობისათვის: „15 წელი ივანე მიჩურინის გარდაცვალებიდან“. 9.15 — რიმსკი-კორსაკოვის სიმფონიური ნაწარმოებები. 10.30 — საუბარი: „15 წელი გამოჩენილი მეცნიერის მიჩურინის გარდაცვალებიდან“. 17.20— უკრაინელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის რუსულ ენაზე: მიჩურინი. 18.20 — ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებები რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის გ. გრიგორაშვილის შესრულებით. 19.15 — ვებერის და როსინის უვერტიურები. 20.30 — კონცერტი შოპენის ნაწარმოებებიდან. 20.45 — ლიტერატურული გადაცემა: მწერალ გიორგი ნატროშვილის საუბარი: „ქართველი პოეტები უმღერენ შელადს“. 21.05 — ამიერკარპატის გუნდის კონცერტის ტრანსლაცია. 21.40 — საუბარი სამხედრო მოსამსახურეთათვის ციკლიდან: „მოგზაურობა მშობლიურ მხარეში“ — „საქართველო“.

თეატრებში

6 ივნისს: ოპერისა და ბალეტის — „მაზეპა“ (მე-13 აბ. მე-14 სპექტაკლი ბ. ნორცოვის მონაწილეობით); **მარჯანიშვილის სახელობის** — „ხევისბერი გოჩა“ (სოხუმის თეატრის სპექტაკლი); **გრიბოედოვის სახელობის** — „ქალიშვილი სურით“; **სომხური დრამის** — „სამოქალაქო სიკვდილი“ (ვ. ფაფაზიანის მონაწილეობით); **მუსიკალური კომედიის** — „თბილისის ცის ქვეშ“; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — „სიპამუკე ბელადისა“ (მე-4 აბ. 7 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — „კუზიანი კვიცი“ (107, 117 აბ. 12 ს., 84, 103 აბ. 3 ს.).

კინოებში

რუსთაველის სახელობის — „ჯურღაის ფარი“; **„ოქტომბერი“** — „ბალეტის სოლისტი“; **„ამირანი“** — „ის კიდევ დაბრუნდება“ (საზამთრო დარბაზი), „რაიკომის მდივანი“ (საზაფხულო დარბაზი); **„თბილისი“** — „ინდოეთის აკლდამა“ (პირველი სერია); **„სპარტაკი“**—„ცეცხლი“; **„კომკავშირელი“** — „პეპო“ (საზამთრო დარბაზი), „ტრაქტორისტები“ (საზაფხულო დარბაზი); **26 კომისრის სახელობის** — „მალალი ჯილდო“ (პირველი დარბაზი), „უკვდავი კაშხალი“ (მეორე დარბაზი), „ყუბანელი კაზაკები“ (საზაფხულო დარბაზი).

ს ტ ა ლ ი ნ ი ს სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1950/51 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე: ფილოსოფია, ლოგიკა, ფსიქოლოგია, რუსული ენა, რუსული ლიტერატურა, ბერძნული ენა და ლიტერატურა, ფოლკლორი, ინგლისური ენა და ლიტერატურა, ფრანგული ენა და ლიტერატურა, გერმანული ენა და ლიტერატურა, ქართული ენა, ქართული ლიტერატურა, სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები, აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია, არქეოლოგია, საქართველოს ისტორია, ძველი ქვეყნების ისტორია, შუა საუკუნეების ისტორია, ახალი ისტორია, სახელმწიფო სამართალი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია და ისტორია, პოლიტეკონომია, უცხო ქვეყნების ფიზიკური გეოგრაფია, გეომორფოლოგია, პეტროგრაფია, გენეტიკა და ბოტანიკა, ხერხემლიანთა ზოოლოგია, მათემატიკა, მექანიკა, თეორიული ფიზიკა, ექსპერიმენტული ფიზიკა, მათემატიკური ფიზიკა.

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირნი არა უმეტეს 40 წლის ასაკისა, რომელნიც მისაღებ გამოცდებს ჩააბარებენ მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, სპეციალურ დისციპლინაში, რუსულ ენაში და ერთ-ერთ უცხო ენაში.

ასპირანტურაში ჩარიცხვის მსურველმა განცხადება უნდა შემოიტანოს რექტორის სახელზე შემდეგი საბუთებით: კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, დიპლომი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საქმიანი ვრცელი დახასიათება მუშაობის ადგილიდან, ცნობა სტაჟის შესახებ, სამხედრო ვალდებულებისადმი დამოკიდებულების საბუთი, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, მეცნიერული შრომა ან რეფერატი სპეციალურ საგანში, ორი ფოტოსურათი.

განცხადებები მიიღება 1 სექტემბრამდე. მისაღები გამოცდები 5-დან 20 სექტემბრამდე. ცნობებისათვის მიმართეთ: თბილისი, მარის ქ. № 1. უნივერსიტეტის სამეცნიერო ნაწილი.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო „სოიუზპეჩატი“

დაიწყო ხელისმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე 1950 წლის მეორე ნახევრისათვის

„სოიუზპეჩატის“ საქართველოს განყოფილება.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე 1950 წ. 17 ივნისს, დღის 2 საათზე, ფიზიკის დიდ აუდიტორიაში (მარის ქ. № 3). ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **გ. ვ. ასლანიდი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „К вопросу о механизме оптического возбуждения аддитивно окрашенных кристаллов KCE“.

ოფიციალური ოპონენტები: პროფესორი-დოქტორი **ე. ანდრონიკაშვილი**, მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ნ. კალაბეგოვი**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საბჭოთა კავშირის გმირ ჟ. ქ. ბენდელიანის სახელობის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სააერო ძალთა თბილისის სპეციალურ საშუალო სკოლაში მოსწავლეთა მიღება იწარმოებს 1950 წლის 15 ივნისიდან 20 აგვისტომდე. სკოლა ამზადებს კადრებს ოფიცერთა საფრენოსნო სასწავლებლებისათვის.

მოსწავლეებს, რომლებიც სკოლას ოქროს მედლით დაამთავრებენ, ენიჭებათ საჰაერო ძალთა აკადემიის საინჟინრო ფაკულტეტზე უგამოცდოდ შესვლის უფლება.

სკოლაში მიიღებიან ვაჟები, რომლებმაც 1949-50 სასწავლო წელს დაამთავრეს 8 კლასი. სწავლება, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და კვება უფასოა.

რაიონებიდან მოვლინებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

სკოლაში შესვლის მსურველები გაივლიან სპეციალურ საექიმო და სამანდატო კომისიებს. განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი საბუთები: ანკეტა, ავტობიოგრაფია 2 ცალად (საკუთარი ხელით დაწერილი), მოწმობა 8 კლასის დამთავრების შესახებ, დაბადების მოწმობა, ცნობა მშობელთა საქმიანობის შესახებ, დახასიათება სკოლის დირექტორისაგან, ხოლო ალკკ წევრებისათვის — კომკავშირის ორგანიზაციისაგან, ორი ფოტოსურათი (უქუდოდ) 3X4 სმ.

ყველა საბუთი განმცხადებელმა პირადად უნდა შემოიტანოს სკოლის კანცელარიაში (ელბაქიძის პროსპ. № 155) ანდა რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებაში.

ცნობების მიღება შეიძლება ტელეფონით 3-06-63 ან უშუალოდ სკოლის კანცელარიაში ყოველდღე, გარდა კვირისა, 10 საათიდან 4 საათამდე.

საქართველოს ს. მ. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი აცხადებს, რომ 17 ივნისს, დღის 15 საათზე, ინსტიტუტის სააქტო დარბაზში (სასწავლო შენობა № 2/4) სამშენებლო ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ასპირანტი **აკაკი გრიგოლის-ძე ჭყუასელი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: „**აკადემიკოს ბ. გ. გალიორკინის მეთოდის გამოყენება დეროვანი სისტემების რხევის შესასწავლად (ცოჟები და ჩარჩოები)**“.

ოფიციალური ოპონენტები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **კ. ს. ზავრიევი**, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ა. კ. რუხაძე**, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **გ. ვ. ომაძე**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (სასწავლო შენობა № 2/4) ყოველდღე 10 საათიდან 17 საათამდე.

ე. აბრამიშვილი, ი. და ლ. ასათიანები, რ. ბახტაძე, ლ. გაჩეჩილაძე, ქ. დადიანი, მ. ლორთქიფანიძე, ნ. მაყაშვილი, დ. მეგრელაძე, ნ. ქანთარია, ტ. ჩუბინიშვილი, ა. და ო. ჯაფარიძეები თანაგრძნობას უცხადებენ ჯ. ჭუმბურიძეს მისი დედის **მარიამ ჭუმბურიძის** გარდაცვალების გამო.

კატო, ლიდა, ფაცია, ტატიანა, თამარ, საშურა გოგიები, ნუცა, იასონ, ანზორ თევზაიები, მანანა გაბუნია იუწყებიან ვერა და მიშა გეთიების შვილის **რეზოს** გარდაცვალებას.

მშობლები ნინო, ზაქარია, და ქეთევან, ძმა მიტო ბერიაშვილები, სიძე გ. ყაზაროვი, დისწული იმედა, ბებიები ანა ვარდიძე, სალომე რთველიაშვილი იუწყებიან **ქიტო ბერიაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-VI, 8 ს. გამოსვენება 8-VI, 6 ს. გომბორის, 28.

შვილები სონა, თამარ, ლიზა, შვილიშვილები შოთა, დათიკო სარაული მეუღლით დოლით, შვილით ნუხუთი, სიძეები ს ჩიტაძე, მ. საათაშვილი იუწყებიან **ეფემია ივანეს ასულ იმესაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-VI, 7 ს. გამოსვენება 8-VI, 6 ს. ვაშლოვანის, 5.

მაყვალა და ვახტანგ კუპრავა თანაგრძნობას უცხადებენ გ. ა. აბულაძეს მისი დის **ქეთინოს** გარდაცვალების გამო.

დედა ქეთო, მამა სოსო, და ნანო იორამაშვილები იუწყებიან, რომ 8-VI, 6 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **დალი იორამაშვილის** პანაშვიდი.

ბერიას რაიონის მე-13 პოლიკლინიკის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ სონია იაშვილს მისი დედის **ვარვარა იაშვილის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომლები ვ. ჩაგუნავა, კ. ივანოვი, კ. ქუთათელაძე, მ. ალასანია, გ. ბალანჩივაძე, ა. კობახიძე, ვ. კოდანაშვილი, თ. გამსახურდია, ნ. მშვენიერაძე თანაგრძნობას უცხადებენ ი. ბაცანაძეს მისი მამის **ლევანის** გარდაცვალების გამო.

მანუჩარია ბაქრაძე, სოსო აბაშიძე, შუშანა კალანდაძე, მიშა ქლენტი, ქეთო ცაგარელი, ტერენტი სახაია იუწყებიან ნ. ტურაბელიძის დედის **მინადორა პავლეს ასულ ტურაბელიძის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის კათედრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ი. ლ. ბაცანაძეს მისი მამის **ლევან გიორგის-ძე ბაცანაძის** გარდაცვალების გამო.

ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის სატაბლეტო-საფუთავი საამქროს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ნ. ტურაბელიძეს მისი დედის **მინადორას** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი—3-57-61, სამრეწველო-სატრანსპორტოსი და საბჭოთა მშენებლობისა—3-80-88, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ინფორმაციის და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24. მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობისა—3 51-81, სტამბის დირექტორის—3 77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 00462